Для случая двухфазного к. з. на землю аналогичные уравнения не составляются, так как при этом виде повреждения не соблюдается условие  $J^{(1)} = J^{(2)} = J^{(0)}$ . Согласно условию  $U^{(1)} = U^{(2)} = U^{(0)}$ , для неповрежденной фазы строятся уравнения, дуальные уравнениям (1), где неизвестные — напряжения в неповрежденных фазах, свободные члены — токи при трехфазном к. з. в данном узле, а коэффициенты  $y$  — собственные и взаимные проводимости между узлами.

Расчет этих коэффициентов создает дополнительные трудности, так как трудоемкость заключается в составлении матриц. Поэтому целесообразно двухфазное к. з. представить как наложение двух однофазных к. з. в одном узле. В этом случае можно обходиться лишь матрицами собственных и взаимных сопротивлений для схем последовательностей.

Рассматривая узел с двухфазным к. з. как два совпадающих узла с однофазным повреждением, получаем

$$\begin{aligned} Z_{11} &= Z_{22}, \\ H_{12} &= H_{21} = 1. \end{aligned} \quad (5)$$

Система уравнений (4) преобразуется к виду

$$\begin{aligned} (Z_{11}^{(1)} + Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}) J_B^{(0)} + (aZ_{11}^{(1)} + a^2 Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}) J_C^{(0)} &= a^2 E, \\ (a^2 Z_{11}^{(1)} + aZ_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}) J_B^{(0)} + (Z_{11}^{(1)} + Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}) J_C^{(0)} &= aE. \end{aligned} \quad (6)$$

Разделив коэффициенты на 3 и решив систему уравнений, получим общеизвестные значения для токов в поврежденных фазах:

$$J_B = \frac{E}{Z_{11}^{(1)} + \frac{Z_{11}^{(2)} Z_{11}^{(0)}}{Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}}} \left( a^2 - \frac{Z_{11}^{(2)} + aZ_{11}^{(0)}}{Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}} \right),$$

$$J_c = \frac{E}{Z_{11}^{(1)} + \frac{Z_{11}^{(2)} Z_{11}^{(0)}}{Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}}} \left( a - \frac{Z_{11}^{(2)} + a^2 Z_{11}^{(0)}}{Z_{11}^{(2)} + Z_{11}^{(0)}} \right).$$

Таким образом, одно двухфазное к. з. представляется как два однофазных к. з. Если имеем  $M$  двухфазных и  $N$  однофазных к. з. (особенные фазы произвольные), составим уравнения для  $2M + N$  однофазных к. з., учитывая условие (5) для узлов с двухфазными к. з.

Для расчета произвольной комбинации к. з. в первую очередь должны быть рассчитаны матрицы собственных и взаимных сопротивлений для схем всех последовательностей— $\|Z^{(1)}\|$ ,  $\|Z^{(2)}\|$ ,  $\|Z^{(0)}\|$ .

Посредством этих матриц рассчитаем:

1) матрицу фазных сопротивлений

$$\|Z\| = \frac{1}{3} (\|Z^{(1)}\| + \|Z^{(2)}\| + \|Z^{(0)}\|);$$

2) матрицу для опережающих фаз

$$\|Z'\| = \frac{1}{3} (a^2 \|Z^{(1)}\| + a \|Z^{(2)}\| + \|Z^{(0)}\|);$$

3) матрицу для отстающих фаз

$$\|Z''\| = \frac{1}{3} (a \|Z^{(1)}\| + a^2 \|Z^{(2)}\| + \|Z^{(0)}\|).$$

Затем в зависимости от комбинации к. з. из этих матриц выбираются соответствующие элементы. Выборка производится следующим образом: из матриц вычеркиваются все столбцы, кроме тех, которые соответствуют узлам с к. з. Если имеет место  $N$  однофазных и  $M$  двухфазных к. з., число повреждений будет  $2M + N$  ( $M$  двухфазных к. з. рассматриваем как  $2M$  однофазных к. з.). Из  $2M + N$  неизвестных выбираем те, которые по фазе совпадают с повреждением рассматриваемой ветви, и умножаем на матрицу  $\|Z\|$ . Отстающие по фазе умножаем на  $\|Z''\|$  и опережающие на  $\|Z'\|$ .

Свободные члены умножаются на  $a$  или  $a^2$  в зависимости от сдвига относительно фазы  $A$ .

Аналогично рассуждая можно вывести дуальные выражения при обрывах фаз. Свободными членами будут токи в фазах в начальном режиме, неизвестными—напряжения в месте обрыва, а коэффициентами—элементы матрицы собственных и взаимных проводимостей.

Рассмотрим случай, когда имеется несколько одновременных к. з. и обрывов фаз.

В таком случае система уравнений, связывающих токи и напряжения, имеет вид

$$\begin{aligned} \|Z\| \|J\| + \|H\| \|U\| &= \|E^n\|, \\ \|Y\| \|U\| + \|T\| \|J\| &= \|J^n\|, \end{aligned}$$

где

$\|Z\|$  — матрицы фазных сопротивлений для совпадающих, опережающих и отстающих фаз;

$\|Y\|$  — матрицы фазных проводимостей для совпадающих, опережающих и отстающих фаз;

$\|H\|$ ,  $\|T\|$  — матрицы коэффициентов передач.

Расчет матрицы  $\|H^{(1)}\|$  прямой последовательности дается в работе [2].

Таким же способом, посредством матриц сопротивлений обратной и нулевой последовательности рассчитаем  $\|H^{(2)}\|$  и  $\|H^{(0)}\|$ . Как было указано выше, посредством матриц всех трех последовательностей  $\|H^{(1)}\|$ ,  $\|H^{(2)}\|$ ,  $\|H^{(0)}\|$  рассчитаем фазные значения матриц  $\|H\|$ ,  $\|H'\|$ ,  $\|H''\|$ . Матрица  $\|T\|$  является транспонированной матрицей  $\|H\|$ .  $\|T\| = \|H^T\|$ .

Таким образом находятся все коэффициенты для расчета различных комбинаций повреждений.

Грузинский политехнический  
институт  
им. В. И. Ленина  
Тбилиси

(Поступило в редакцию 3.11.1966)

აბტოგრაფიკა და ტელეგრაფიკა

ბ. თურქია, ბ. ვიზხვაძე, დ. წულაია, ლ. ჩხაიძე

დენებისა და ძაბვების ანგარიში ციფრულ გამომთვლელ  
მანქანაზე ენერგოსისტემის ძსელში არასიმეტრიული  
დაზიანების დროს

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არასიმეტრიული დაზიანების დროს დენებისა და ძაბვების ანგარიშის მეთოდოლოგია, რაც ემყარება გადაცემის კოეფიციენტების გამოყენებას.

ნებისმიერი არასიმეტრიული დაზიანების დროს ანგარიშის წარმოებისათვის, პირველ რიგში საჭიროა საკუთარი და ურთიერთწინააღმდეგობებისა და გამტარებლობების მატრიცების ანგარიში სამივე მიმდევრობის სქემისათვის.

მატრიცის ელემენტების საშუალებით მყარდება დამოკიდებულება სქემის პასიურ ელემენტებს, საწყისი რეჟიმის პარამეტრებსა და უცნობ სიდიდეებს შორის.

ანგარიში წარმოებს ფაზურ სიდიდეებზე, ამის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ ყველა ტიპის დაზიანება დაიყვანება ერთფაზა დაზიანებამდე.

ამგვარად, სტატიაში მოყვანილი მეთოდის საფუძველზე შემთხვევა, როდესაც არის  $M$  ერთფაზა და  $N$  ორფაზა დაზიანება, განიხილება როგორც  $M + 2N$  ერთფაზა დაზიანება.

ეს გარემოება იძლევა სხვადასხვა ტიპის ამოცანების მანქანაზე ამოხსნის საშუალებას.

#### დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Г. Г. Костянян. Задачи релейной защиты современных энергосистем. Автореферат, 1964.
2. Н. Г. Туркия. Расчет токов и напряжений при обрывах и коротких замыканиях в произвольных точках цепи. Сообщения АН ГССР, XLIV, № 1, 1966.

### მოძრავი ნაშალბის მცენარეულობა თბილისის მიდამოებში

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა 20.6.1966)

მოძრავ ნაშალბს თბილისის მიდამოებში ფართო გავრცელება აქვს და ცალკეულ შემთხვევაში საკმაოდ მოზრდილი ფართობები უკავია. იგი ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ და ნაწილობრივ, სამხრეთ-დასავლეთის დიდი დაქანების ფერდობებზე, მაგრამ ჩრდილო ფერდობებზეც იშვიათობას არ წარმოადგენს. თბილისის მიდამოებში აღნიშნული ნაშალბები კარგადაა გამოსაჩული: ვარაზის ხევში, დელისის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ვერესა და მისი შენაკადების ხეობებში, სოფელ ბაგებთან, წყნეთთან, ბეთანიასთან, არმაზის ხეობაში და სხვაგან.

მოძრავ ნაშალბში გამოიყოფა: 1. საკუთრივ მოძრავი ნაშალბები, რომლებიც ხასიათდებიან მრავალფეროვანი გრანულომეტრული შედგენილობით, მეტნაკლები მუღმივი მოძრაობით და 2. კლდოვანი ადგილსამყოფელიდან ნაშალ ადგილსამყოფელზე გარდამავალი ქვეჯგუფები.

მოძრავი ნაშალბისათვის დამახასიათებელია ძლიერი ფიზიკური გამოფიტვა, რის გამოც შექმნილია დედაქანის ნაშალი მასა, რაც მასიური ქანისაგან პეტროგრაფიულ-მინერალოგიური შედგენილობით არსებითად არ განსხვავდება [1] და განიცდის გადაადგილებას, დახარისხებას მოძრავი წყლის, ყინულის, ქარისა და სიმძიმის ძალის გავლენით.

თბილისის მიდამოებში მოძრავი ნაშალბები ჭარბობს: ტუფოგენურ ქვიშაქვებზე თაბაშირის სიუხვით, თიხაფიქალებზე თაბაშირის მონაწილეობით, ქვიშაქვებზე მიკროკონგლომერატებით, ვულკანურ თიხიან ქვიშაქვებზე და ქვიშაქვებზე კენჭის მინარევით.

იმისდა მიხედვით, თუ მოძრავი ნაშალი მასა რომელი ქანების გამოფიტვის შედეგადაა წარმოქმნილი, სხვადასხვა გრანულომეტრული შედგენილობით ხასიათდება. ის ქანები, რომლებიც უფრო მტკიცეა, ძნელად ურთიერთმოქმედებს გარემოს ელემენტებთან და უფრო მსხვილი გრანულომეტრული შედგენილობით ხასიათდება.

თბილისის მიდამოების მოძრავი ნაშალბები ხასიათდება: ქვა-მსხვილლორლიანი, მსხვილსილნარ-მტვრიანი, მსხვილსილნარ-საშუალო ქვიშნარი, მსხვილსილნარ-მსხვილქვიშნარი და მსხვილლორლიან-მსხვილსილნარი გრანულომეტრული შედგენილობით.

დედაქანის წვრილად დაქუცმაცება და მისი მოძრაობა ჰქმნის ფართო შე-  
საძლებლობას ნაშალი მასის ურთიერთობისათვის გარემოს ელემენტებთან, რის  
შედეგადაც დასაბამი ეძლევა ქიმიურ გარდაქმნებს, რომელიც თავის მხრივ  
მასზე დასახლებულ მცენარეულობასთან კავშირში საწყისს აძლევს ნიადაგწარ-  
მოქმნის პროცესებს.

სუბსტრატის მოძრაობა საშუალებას იძლევა მრავალნაირი ბიომორფების  
განვითარებისათვის, რაც კარგად ჩანს მოძრავი ნაშალების მცენარეულობის  
ბიოლოგიური სპექტრიდან.

სპექტრი		
ბიომორფა	სახეობათა რიცხვი	%
Ph ნანო	4	10,2
Ch	5	12,8
H	14	35,9
Kr	2	5,1
T	14	35,9

ნაშალის მოძრაობას ეგუებთან ისეთი მრავალწლოვანი მცენარეები, რომლებიც ხასიათდებიან მიწისქვეშა გამსხვილებული ღეროთი და მძლავრი ფესვთა სისტემით. ისინი კარგად ვითარდებიან და ანელებენ ნაშალი მასის მოძრაობას. ამით ამზადებენ სუბსტრატს სხვა მცენარეების დასასახლებლად. მათ ფესვთა სისტემა ნაშალის ჰორიზონტალურად აქვთ განვითარებული და წვერი უძრავ სუბსტრატზეა მიმაგრებული. ასეთებია: *Rumex scutatus*

*L.*, *Dianthus orientalis* Adam, *Asperula glomerata* (M. B.) Grsb., *Artemisia fasciculata* M. B. *Parietaria judaica* Strand, *Teucrium orientale* L., *Silene iberica* M. B. და სხვ.

თბილისის მიდამოებში მოძრავი ნაშალების მცენარეულობის განხილვისას უნდა გავარჩიოთ ორი მოვლენა.

პირველი — როცა მოძრავი ნაშალი მასა ახალია, ნაშალი მასის სიღრმე 10—15 სმ არ აღემატება. ადგილი აქვს დედაქანის ძლიერ ფიზიკურ და შედარებით სუსტ ქიმიურ გამოფიტვას. მიღებული ნაშალი მასა ხასიათდება წყლისა და ჰაერის შეღწევადობის თვისებით, თუმცა მას არ ძალუძს მიღებული წყლის მარაგის შენახვა. თავის მხრივ შექმნილი თვისება ფართო გასაქანს აძლევს ნაშალ მასას და გარემოს ელემენტებს შორის ახალი რიგის ურთიერთობას. ასეთი ნაშალები ძირითადად მდებარეობენ მოძრავი ნაშალების თავზე, რომელზედაც ვითარდება ზოგან აგრეგაცია და აგლომერაცია და ზოგან ფსევდოაგრეგაცია.

აგრეგაციები (თბილისის მიდამოებში) მოძრავი ნაშალების ამ საფეხურზე განვითარებულია ვარაზისხევში, წყნეთთან, ბეთანიასთან, ბაგებთან და სხვაგან. ის შექმნილია ზოგან *Satureia laxiflora* C. Koch-ით, ზოგან კი *Cleome ornithopodioides* L. მიერ. რაც შეეხება აგლომერაციას, ის უფრო კარგადაა გამოსახული და შექმნილია: *Satureia laxiflora* C. Koch, *Cleome ornithopodioides* L. და *Teucrium orientale* L.-ით (ვარაზისხევი, წყნეთის მიდამოები, ბაგებთან, დელისის ქედის სამხრეთი ფერდობი, ბეთანია და პანტიანის მიდამოები). ზოგან კი შექმნილია *Cleome ornithopodioides* L., *Reichardia dichotoma* (M. B.) Roth. და *Convolvulus arvensis* L. (ახალდაბა—წყნეთის მიდამოები, ბეთანია და სხვ.).



როგორც აგრეგაცია, ისე აგლომერაცია ვითარდება უმეტესად ისე თ ნაწილებზე, რომლებიც წარმოქმნილია ქვიშაქვებისაგან მიკროკონგლომერატებით, ვულკანური თიხაქვიშაქვების, თიხათიქალებისა და ქვიშაქვებისაგან თაბაშირის ქარბობით.

გრანულომეტრული შედგენილობით აგრეგაცია და აგლომერაცია ერთნაირია. ისინი ზოგან მსხვილლორდიან-მსხვილსილნარია და ზოგან მსხვილსილნარ-მსხვილლორდიანი. ამის საპირისპიროდ ჰუმუსის შემცველობა მკვეთრად განსხვავებულია, აგრეგაციის შემთხვევაში 0,72—0,85%-ს უდრის, აგლომერაციის დროს კი—0,95—1%-ს (ნიმუში ორივე შემთხვევაში 15 სმ სიღრმეიდანაა აღებული).

იშვიათად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა განვითარება ფსევდოაგრეგაციის, რაც შექმნილია *Cynanchum funebre* (Boiss. et Ry) Kuhn.-საგან და გვხვდება დელისის ქედზე და ვარაზისხევეში, ხოლო მდ. ვერეს ხეობაში *Rumex scutatus* L.-ით.

გრანულომეტრული შედგენილობით მსხვილლორდიან-მსხვილქვიშიანია. ჰუმუსის შემცველობით აგლომერაციას უახლოვდება—0,94%-ს.

მეორე — როცა მოძრავი ნაშალი მასა უფრო ხანდაზმულია. მასში აქტიურად მიმდინარეობს ქიმიური გარდაქმნები და ადგილი აქვს ნიადაგწარმოქმნის პროცესებს. ამ შემთხვევაში შექმნილია შედარებით ხელსაყრელი პირობები მცენარეთა დასახლებისათვის.

ასეთ მოძრავ ნაშალებზე მრავალწლოვნებიდან სახლდება: *Salvia verbasifolia* M. B., *Asperula glomerata* (M. B.) Grsb., *Artemisia fasciculata* M. B., *Rumex scutatus* L., *Cynanchum funebre* (Boiss. et Ry) Kuhn., *Parietaria judaica* Strand და სხვა; ერთწლოვნებიდან: *Rapistrum rugosum* (L.) All. *V. gummocarpum* Trautv., *Silene iberica* M. B., *Cleome ornitho podioides* L. v. *Stipitata* Boiss., *Satureia laxiflora* C. Koch, *Melilotus albus* Dsr., *Alyssum hirsutum* M. B., *Linaria simplex* D. C. და სხვა.

ჩამოთვლილი მცენარეები აღნიშნულ პირობებში ივითარებს მნიშვნელოვან მასას. დროთა განმავლობაში ამ მცენარეებს ეყრება დაშლილი დედაქანის წვრილი ნამტვრევები და იწყება ნაშალის მასის დაგროვების პროცესი. ამის შედეგად ვითარდება მეტნაკლები სიძლიერის ნიადაგოვანი ფენა; ამასთან დაკავშირებით კი მცენარეულობა იღებს სხვაგვარ ხასიათს [2]. ნიადაგის თანდათანობითი ჩამოყალიბება იძლევა მცენარეული საფარის სტრუქტურის გართულებას; ეს უქანასკნელი კი იწვევს დაკორდების პროცესებს [3].

მოძრავი ნაშალები, როგორც ამას პ. ბარანოვის მიერ ჩატარებული ცდების [4] მონაცემები გვიჩვენებს და ჩვენი დაკვირვებიდანაც ირკვევა, მოძრაობას განიცდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნული პერიოდების ნალექიანობასთან, ზაფხულის განმავლობაში ნალექები შედარებით ნაკლებია და მოძრაობა ნაშალი მასისა მცირეა. თბილისის მიდამოებში ნალექების მაქსიმუმს ქარების მაქსიმუმიც ემთხვევა. ორივე ფაქტორი ბშირად ერთიმეორეს ცვლის და აღნიშნულ პერიოდებში ნაშალი მასა მეტნაკლებად მუდმივ მოძრაობაშია.

თბილისის მიდამოებში მოძრავი ნაშალების სიღრმე ნაშალი ფართობის შუაწელში 35—50 სმ-ის ფარგლებში იცვლება, ხოლო ფუძესთან, იმისდამიხედვით, თუ რა ხნოვანებისაა ნაშალი მასა, 1—1,5 მ აღწევს.

მოძრავ ნაშალებზე ზემოთ აღნიშნული მცენარეების განვითარების შემდეგ დასახლებას იწყებს მერქნიანები, რომელთაგან აღსანიშნავია: *Astragalus pycnophyllus* Stev., *Paliurus spina Christi* Mill., *Rhus coriaria* L. და ზოგან *Ailanthus altissima* (Mill.) Wingle.

აღნიშნულნი ძალიან სწრაფად მოიწევენ წინ. ამასთან ძეძვი დიდი პროდუქციულობით ხასიათდება და უფრო მეტად აღმონაცენით მრავლდება, ბოლო ორი კი—ამონაყარით. ნაშალის მოძრაობა (განსაკუთრებით წვიმიან წლებში) ხემყარალასა და თუთუბოსათვის სტიმულიზატორიცაა. მათ ფესვებზე ვითარდება უამრავი დამატებითი კვირტები, საიდანაც ზედაპირთან ახლო მოხვედრილი ფესვი სწრაფად იძლევა ამონაყარს.

აღნიშნული მერქნიანი მცენარეების განვითარების შემდეგ ნაშალი მასის მოძრაობა რამდენადმე შენელებულია და მათ ქვეშ თავშესაფარს პოულობს ისეთი მცენარეები, როგორიცაა: *Erodium cicutarium* L' Her., *Senecio vernalis* W. et R., *Arenaria serpyllifolia* L., *Callipeltis cucularia* (L.) Dc., *Holosteum marginatum* C. A. M., *Pterotheca marschalliana* (Rchb.) A. Grossh. და სხვა; მრავალწლოვნებიდან: *Scutellaria orientalis* L.

მოძრავი ნაშალების ამ საფეხურზე ჩამოთვლილი მცენარეების გვერდით უკვე ჩნდება მარცვლოვნები, რომელთაგან ზოგიერთი მნიშვნელოვანი დამკორდებელია. მაგ., *Bromus biebersteini* R. et Sch. და *Melica transsilvanica* Schur. ჰუმუსის შემცველობა ნაშალში 15 სმ სიღრმეზე 1,34—1,45%-ს აღწევს.

კლიმატური პირობების მკვეთრი გავლენა მოძრავი ნაშალების მცენარეულობაზე უფრო კარგადაა გამოსახული, ვიდრე სხვა რომელიმე ჯგუფის ნაშალების მცენარეულობის შემთხვევაში. ნაშალი მასა რამდენადმე მუდმივ გადანაცვლებას განიცდის ერთი ადგილიდან მეორეზე, მცირე სიღრმისა და (სხვადასხვა მიზეზების გამო) ტენით ადვილად ღარიბდება. ამას ადასტურებს 1963 წლის ტენიანობის მონაცემები გაწვიმებიდან 15 დღის შემდეგ. მოძრავი ნაშალების ზედაპირის ტენიანობა ვარაზისხევეში 3,2%-ია, 20 სმ სიღრმეზე—5,9%. მაშინ, როცა ნახევრად მოძრავ ქვისლოდებიან ნაშალებზე თუთიანთხევეში ზედაპირი ქვებს ქვეშ 5,1% და 20 სმ სიღრმეზე 8,1%-ს უდრის.

მოძრავ ნაშალებზე გაბატონებული მდგომარეობა (სახეობათა რიცხვის მიხედვით) ერთწლოვან მცენარეებს ეკუთვნის და რამდენადმე დიფუზურადაა გავრცელებული. მაგრამ ერთწლოვან მცენარეთა ეს მდგომარეობა არ არის მყარი. იგი იცვლება გარემოეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით და სხვადასხვა წლებში განსხვავებულია. მაგ., 1963 წელი ხელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა (უხვი ნალექების გამო—779,6 მმ), ვიდრე 1964 წელი (326 მმ), რამაც თავის გამოხატულება ჰპოვა, როგორც სახეობათა რაოდენობრივ შედგენილობაში, ისე თვით სახეობის სიმრავლეშიც. მაგ., 1963 წლის 16 მაისს შედგენილ სიაში (ვარაზისხევი, ნაკვ. № 6) სახეობათა საერთო რიცხვი 30-ს უდრის, ხოლო 1964 წლის 28 მაისს შედგენილ სიაში (იმავე ნაკვეთზე) 24-ს არ

აღმეტება. ერთწლოვან მცენარეთა რ სახეობა არ აღმოცენდა, ხოლო რიგი ერთწლოვანების სიმრავლე მინიმუმამდე შემცირდა. მაგ., *Rapistrum rugosum* (L.) V. *gymnocarpum* Trautv. სიმრავლე 1963 წელს Cop'-ით აღინიშნა, 1964 წელს კი Sp'-ს არ აღმეტებოდა. *Silene iberica* M. B. 1963 წელს Cop<sup>3</sup>, ხოლო 1964 წელს Sp'-მდე შემცირდა.


მოდრავ ნაშალებზე ყველა ერთწლოვანი მცენარის განახლება აღმონაცენით ხდება, ხოლო ორ- და მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ამონაყარით განახლება; ზოგიერთი კი მრავლდება აღმონაცენითაც და ამონაყარითაც მაგ., *Onobrychis radiata* M. B., *Bromus biebersteini* R. et Sch., *Gypsophila stevenii* Fisch., *Asperula glomerata* (M. B.) Grsb., *Teucrium orientale* L., *Parietaria judaica* Strand და სხვ.

მოდრავ ნაშალებზე დასახლებული მრავალწლოვანი მცენარეების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ფესვის ყელთან დამატებითი კვირტების არსებობა, რომლებიც ნაშალი მასით დაფარვის შემდეგ სწრაფად ვითარდება და ამონაყარს იძლევა, ისე, რომ თითოეული ძირიდან მრავალი ყლორტი ვითარდება და ბალიშისებური ბუჩქები იქმნება. ასეთ მცენარეებს ეკუთვნის: *Rumex scutatus* L., *Cynanchum funebre* (Boiss. et Ry) Kusn., *Parietaria judaica* Strand, *Bupleurum exaltatum* M. B., *Asperula glomerata* (M. B.) Grsb., *Gypsophila stevenii* Fisch., და სხვ. ხოლო ზოგიერთ მრავალწლოვანს დამატებითი კვირტები ფესვებზე აქვს: *Euphorbia sequieriana* Neck., *Scutellaria orientalis* L., *Salvia verbascifolia* M. B. და სხვ.

ხანდაზმულ მოძრავ ნაშალებზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სახლდება *Astragalus pycnophyllus* Stev. და *Paliurus spina*—Christi Mill., რომელთაგან დროთა განმავლობაში ვითარდება *Astragalus pycnophyllus* + *Paliurus spina*—Christi-ის დაჯგუფება. შემდეგ ძეძვი თანდათან ბატონდება და იქმნება წმინდა ძეძვიანის (*Paliuretum*) დაჯგუფება, რომელსაც ზოგიერთ ადგილებში ცვლის *Ailanthetum*-ისა და *Rhus coriaria* L.-ს დაჯგუფება პატარა ფრაგმენტების სახით. ამ შემთხვევაში ნაშალი მასა თითქმის გამაგრებულია. ჰუმუსის შემცველობა 20 სმ სიღრმეზე 2,76—2,95%-ს აღწევს. ბუჩქებს შორის დარჩენილ ადგილებზე (ძეძვიანის შემთხვევაში) დასახლებულია ისეთი მცენარეები, როგორცაა: *Melilotus albus* Dsr., *M. neapolitanus* Ten., *Teucrium polium* L., *T. orientale* L., *Artemisia fasciculata* M. B., *Asperula glomerata* (M. B.) Grsb. და განსაკუთრებით აღსანიშნავია *Astragalus brachycarpus* M. B. და *Verbascum formosum* Fisch.-ის განვითარება. შემდეგ: *Botriochloa ischaemum* (L.) Reng., *Bromus biebersteini* R. et Sch., *Melica transsilvanica* Schur, *Diplachne serotina* (L.) Link და სხვ.

აღნიშნული სინგენეზური პროცესი მიმდინარეობს ისეთ მოძრავ ნაშალებზე, რომელიც წარმოქმნილია: ქვიშაქვებისაგან მიკროკონგლომერატებით, ვულკანური თიხაქვიშაქვებისა და თიხაფიქალებისაგან, ხოლო ტუფოგენურ ქვიშაქვებზე, თიხაფიქალებზე თაბაშირის მონაწილეობით და ქვიშაქვებზე თაბაშირის კარბობით, სინგენეზური პროცესი განსხვავებულია.

თბილისის მიდამოებში (უმთავრესად ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, სადაც მოძრავი ნაშალები შედარებით ტენიანია) ერთ შემთხვევაში ვითარდება *Bromus biebersteini* + *Bupleurum exaltatum*-ის დაჯგუფება, მეორე შემთხვევაში (სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოქცეულ ფერდობებზე) — *Bromus biebersteini* + *Botriochloa ischaemum*-ის დაჯგუფება. აღნიშნული დაჯგუფების განვითარების შემდეგ ნაშალი მასა თითქმის გამაგრებულია. ამ საფეხურზე ინტენსიურად მიმდინარეობს ნიადაგწარმოქმნელი პროცესები და ჰუმუსის შემცველობა 20 სმ სიღრმეზე 2,97%-ს აღწევს.



ნახ. 1

საბოლოოდ აღნიშნულ ნაშალებზე ზოგან ვითარდება *Brometa* (*Bromus biebersteini* R. et Sch. მიერ შექმნილი), უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც თაბაშირის ჭარბობა იგრძნობა (ვირაზის ხევი, ვერის ხეობა და წყნეთის მიდა-

მოები), ზოგან კი *Botriochloetum mixtograminoso—leguminosum* — უროიანი ნარევმარცვლოვნებით და პარკოსნებით (ვერის ხეობა, წყნეთის მიდამოები და ვარაზის ხევი). ამ საფეხურზე თბილისის მიდამოებში მოძრავი ნაშალები გამავრცელებულია.

*Paliuretum*-ისა და *Botriochloetum mixtograminoso-leguminosum*-ის კონტაქტის შედეგად საბოლოოდ ვლდებულობთ ძეძვიან-უროიანს, რომელიც ფართოდ და კარგადაა გამოსახული თბილისის მიდამოების მოძრავი ნაშალების მცენარეულობის დაჯგუფებათა შორის.

მოძრავი ნაშალების მცენარეულობის სინგენეზური პროცესი გრაფიკულად გამოსახულია ნახ.-ზე.

ამრიგად, საკუთრივ მოძრავი ნაშალები თბილისის მიდამოებში ხასიათდება უკიდურესად ქსეროფილური მცენარეულობით. მასზე სახლდება როგორც ბალახოვანი, ისე მერქნიანი ქსეროფილური მცენარეები. ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში მცენარეთა დასახლების პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს, რის შედეგად მოძრავი ნაშალი მაგრდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 20.6.1966)

БОТАНИКА

П. Г. ГИОРГАДЗЕ

## РАСТИТЕЛЬНОСТЬ ДВИЖУЩИХСЯ ОСЫПЕЙ В ОКРЕСТНОСТЯХ ТБИЛИСИ

Резюме

В работе описан сингенетический процесс растительности осыпных местообитаний окрестностей Тбилиси и графическое изображение его ступеней. Установлено, что движущиеся осыпи (в окрестностях Тбилиси) характеризуются крайне ксерофильными условиями. На них селятся как травянистые, так и древесные растения. В благоприятных условиях процесс заселения растениями происходит интенсивно, вследствие чего указанные осыпи закрепляются.

დაამუშავებულნი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ვილიამსი. ნიადაგმცოდნეობა, ნაწ. I, თბილისი, 1939.
2. Д. И. Сосновский. Процессы исчезновения лесов в ближайших окрестностях Тифлиса. Изд. Кавказ. отд. Русского географического о-ва, т. XXIII, 1, 1915.
3. ა. კაკულია. თბილისის მიდამოების ზამთრის საძოვრების შესწავლისათვის. თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, თბილისი, 1942.
4. П. А. Баранов. К познанию растительности горных каменистых осыпей. Бюллетень САГУ, вып. 9, Ташкент, 1925.



მიმცენარეობა

ლ. ბიორბაძე

სასილოსე სიმინდის ჯიშთაშორისო ჰიბრიდი „დიღმურა 3“

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ვ. მენაბდეშ 10.2.1966)

კულტურულ მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში ჰიბრიდიზაციის როლი საყოველთაოდ ცნობილია. ამჟამად ჰიბრიდული სიმინდი მსოფლიოს ყველა კუთხეში ითესება, სადაც კი მისი მოყვანისათვის შესაფერისი კლიმატური პირობები არსებობს.

ჩარლზ დარვინი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ჰიბრიდიზაციის პროცესს მისცა მეცნიერული საფუძველი. მან მიუთითა ე. წ. ჰიბრიდულ ძალაზე (ჰეტეროზისზე), კერძოდ მის მნიშვნელობაზე — სიმინდში. მან დაამტკიცა, რომ აღნიშნული ძალა მცენარეებში ვლინდება იმ შემთხვევაში, თუ შეჯვარების დროს ერთდება განსხვავებული მემკვიდრული ნიშან-თვისების მატარებელი წყვილები. ამ აღმოჩენამ გზა უჩვენა შემდგომი პერიოდის მკვლევარებს, აეხსნათ ის საიდუმლოებანი, რომელზედაც აგებულია სიმინდის თანამედროვე ჰიბრიდული ჯიშების მიღება. ასე, მაგ., ამერიკელმა მკვლევარმა ბილმა 1876 წელს პირველად დააყენა ცდა ჰიბრიდული ძალის გამოყენებით სიმინდის თესლის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ძირითადი მეთოდების დადგენას, რომელმაც პრაქტიკაში დიდი გამოყენება პოვა, ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მკვლევარებს: შელსა და ჯონსის.


ამჟამად საწარმოო პრაქტიკაში სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ძირითად წყაროდ აღიარებულია ჯიშხაზობრივი, სამხაზოვანი და ორმაგი ჰიბრიდების თესლის თესვა. თუმცა ყურადღების ღირსია ზოგიერთი ჯიშთაშორისი ჰიბრიდებიც, განსაკუთრებით კი ისეთები, რომელთა მშობლები სიმინდის სხვადასხვა ბოტანიკურ-სისტემატიკურ ჯგუფს მიეკუთვნება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში სიმინდის ფორმათა ნაირსხვაობის შესწავლის პროცესში ყურადღება მიიქცია სიმინდის ადგილობრივი ჯიშების აჯამეთის თეთრისა და ტკაცუნა საგვიანოს ნიმუშებმა, რომელთა ნიშან-თვისებების აღწერა მოცემულია 1 ცხრილში.

ამ ორი ჯიშის პირდაპირი და უკუშეჯვარების შედეგად მიღებულ იქნა დიდი სასილოსე მასის მომცემი ჰიბრიდები: „დიღმურა 1“ და „დიღმურა 2“ (იხ. სურ. 1 და 2; 1—დედა მშობლისა; 2—ჰიბრიდული თაობისა; 3—მამა მშობლისა).

## ცხრილი 1

ნიშან-თვისებათა დახასიათება	სიმინდის ნიმუშები	
	აჭამეთის თეთრი	ტკაცუნა საგვიანო
	კატ. № 1, ნახევრად კბილა ფორმა	კატ. № 253 თავგადაღუ- სილი ფორმა
მცენარეთა სიმაღლე სმ-ით	259—320	140—170
ფოთოლთა რაოდენობა მთავარ ღეროზე	14—18	12—16
ფოთოლთა რაოდ. ბარტყების ჩათვლით	16—22	50—60 და მეტი
ფოთოლთა განვითარება ტაროზე	სუსტი	ძლიერი
ტაროთა რაოდენობა მცენარეზე	1—2	10—11 და მეტი
ბარტყობისადმი მიდრეკილება	სუსტი	ძლიერი
ტაროზე მწკრივთა რაოდენობა	10—12—14	10—12—16
საქუჩის ფერი	თეთრი	თეთრი
მარცვლის ფერი	თეთრი	მკრთალი ყვითელი
1000 მარცვლის წონა	400—500	60—80 გრ
მცენარის სავეგეტაციო პერიოდი (დღეები)	135—145	165—180



სურ. 1

1 2 3

ფოტოსურათებიდან ნათლად ჩანს, რომ ჰიბრიდულ მცენარეებში მოცემუ-  
 ლია ორივე მშობლის სასარგებლო ნიშან-თვისებები, როგორცაა ბარტყობა,

პრაველტაროიანობა, და სიმაღლე, რაც სასილოსე მასას მნიშვნელოვნად ზრდის. აღნიშნული ჯიშების შეჯვარების შედეგად მიღებულ ჰიბრიდთა სავეგეტაციო პერიოდი თითქმის იმავე ხანგრძლივობისაა, როგორც იყო შეჯვარებაში მონაწილე უფრო ადრეული მშობელი აჯამეთის თეთრი. მიღებული ჰიბრიდი დიღმურა 1 მისი ადრეულობის გამო გამოყენებულ იქნა დედა მშობლის როლში აჯამეთის თეთრთან განმეორებით შეჯვარების დროს. ეს შეჯვარება იმისთვის ჩატარდა, რომ, ერთი მხრივ, გვსურდა მიღებულ ჰიბრიდულ თაობაში გაგვეძლიერებინა აჯამეთის თეთრისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა მცენარის ვეგეტაციური ნაწილები და ტაროს ზომა-წონა, ხოლო, მეორე მხრივ, გვსურდა გაგვემარტივებინა მშობელთა თესვის ორგანიზაცია საჰიბრიდიზაციო ნაკვეთზე, ე. ი. თავიდან აგვეცილებინა აჯამეთის თეთრის (მისი ადრეულობის გამო) 30—35 დღით დაგვიანებით თესვა, რაც ხდებოდა პირველადი შეჯვარების დროს.



1 2 3

სურ. 2



სურ. 3

ამგვარად, მიღებულ იქნა ჰიბრიდი „დიღმურა 3“ (იხ. სურ. 3), რომლის შედარებითი შემოწმება ჩატარდა დიღმის ექსპერიმენტულ ბაზაზე 1963 და 1964 წლებში ოთხ განმეორებაში (დანაყოფი 100 კვ. მეტრი), სადაც საკონტ-





როლოდ გამოყენებულ იქნა (როგორც ჰიბრიდების მშობლები, ისე დარაიონებული ჯიში „ქართული კრუვი“ (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

დასახელება	სასილოსე მასა ცენტრებით ჰექტარზე			მატება ჰიბრიდის სასარგებლოდ		საევეტაციო პერიოდი* (დღეებით)
	1963	1964	2 წლის საშ.	ცენტრ. ჰექტარზე	%	
აჯამეთის თეთრი (კატ. 1), მშობელი	460,3	628,0	554,2	115,7	24,0	106
ტკაცუნა საგვიანო (კატ. 253)	449,0	513,5	486,2	42,7	9,8	136
ჰიბრიდი „დიღმურა 1“ (აჯამეთის თეთრი X ტკაცუნა საგვიანო)	892,1	818,0	855,0	416,5	94,7	108
ჰიბრიდი „დიღმურა 2“ (ტკაცუნა საგვიანო X აჯამეთის თეთრი)	729,0	730,5	729,7	291,2	66,4	110
ჰიბრიდი „დიღმურა 3“ (ჰიბრიდი „დიღმურა 1“ X აჯამეთის თეთრი)	976,7	895,0	935,8	497,3	113,4	108
სტანდარტი „ქართული კრუვი“	305,0	575,0	438,5	—	—	107

\* ნაგულისხმევია დრო მცენარის აღმოცენებიდან რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფემდე.

როგორც ირკვევა, „აჯამეთის თეთრისა“ და „ტკაცუნა საგვიანოს“ ურთიერთ შეჯვარების დროს მაღალპროდუქციული ჰიბრიდი იმ შემთხვევაში მიიღება, როცა შეჯვარებაში „აჯამეთის თეთრი“ დედამშობლად არის გამოყენებული. ამ წესით მიღებული ჰიბრიდის მოსავლიანობა სტანდარტს 94,7%-ით, ხოლო მშობლებს—57,1—75%-ით აღემატება. უკუშეჯვარების დროს მოსავლის მატება სტანდარტთან შედარებით 66%-ს შეადგენს, ხოლო მშობლებთან შედარებით—34—50%-ს. რაც შეეხება რთულ ჰიბრიდს („დიღმურა 3“), იგი მოსავლიანობით სტანდარტს აჭარბებს 113,4%-ით, ხოლო მშობლების მიმართ გადაჭარბება 9,4-დან—94,6%-ის ზღვრებში მერყეობს.

ამგვარად, ჩამოთვლილ ჯიშთაშორისი ჰიბრიდებიდან ყველაზე პერსპექტიულად უნდა ჩაითვალოს ჰიბრიდი „დიღმურა 3“.

დასკვნა

1. სასილოსე ჰიბრიდი „დიღმურა 3“, რომელიც მიღებულია „აჯამეთის თეთრის“ და „ტკაცუნა საგვიანოს“ შეჯვარებით, რთული ჯიშთაშორისი ჰიბრიდია; მისი მოსავლიანობა ჰექტარზე (სასილოსე მასა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში) საშუალოდ 936 ცენტნერს შეადგენს.

2. აღნიშნული ჰიბრიდის მისაღებად პირველყოვლისა საჭიროა შეჯვარება ჩატარდეს „აჯამეთის თეთრისა“ და „ტკაცუნა საგვიანოს“ შორის, ხოლო მიღებული ჰიბრიდები კვლავ უნდა დაიმტკეროს საადრეო მშობლის „აჯამეთის თეთრის“ მტვერით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი

(რედაქციის მოუვიდა 10.2.1966)

Л. С. ГИОРГАДЗЕ

## МЕЖСОРТОВОЙ ГИБРИД СИЛОСНОЙ КУКУРУЗЫ ДИГМУРА-3

### Резюме

В настоящее время в производственной практике основным источником увеличения урожайности кукурузы принято считать сортолинейные, трехлинейные и двойные гибриды. Несмотря на это, как показали некоторые исследования, не лишены интереса и межсортные гибриды, в особенности те, родители которых относятся к различным ботанико-систематическим группам.

В Институте ботаники АН ГССР в процессе изучения разнообразия форм привлекли внимание отдельные образцы местной, грузинской кукурузы — Аджаметис тетри *Z. m. semidentata* Rulesch. var. *leucodon*. и Ткацуна сагвиано — *Z. m. everta* Sturt. var. *gracillima*.

Означенные разновидности кукурузы значительно различаются по продолжительности вегетационного периода и показателям роста и развития.

В результате реципрокного скрещивания этих форм (для обеспечения одновременного цветения которых ранний из родителей — Аджаметис тетри был высеян на 30—35 дней позже Ткацуна сагвиано) были получены высокоурожайные гибриды с более коротким, чем у Ткацуна сагвиано, вегетационным периодом, а именно Дигмура-1 с урожаем силосной массы 855 ц/га и Дигмура-2 с урожаем силосной массы 729 ц/га (рис. 1, 2).

В целях увеличения урожайности гибрида было проведено скрещивание урожайного гибрида Дигмура-1 вторично с Аджаметис тетри. В данном случае родители, имевшие одинаковую продолжительность вегетационного периода, высеивались одновременно и в результате был получен гибрид Дигмура-3 (рис. 3), урожай которого (силосная масса в фазе молочно-восковой зрелости) на 1 га составил 936 ц, чем была превышена урожайность силосной массы стандартного сорта Картули круги на 113,4%.

На основании приведенных данных считаем, что гибрид Дигмура-3 представляет определенный интерес для производства.

В настоящее время продолжается работа по созданию семенного фонда, необходимого для широкого испытания данного гибрида в производственных условиях.

### დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Г. Ю. Абесадзе. Некоторые материалы по межсортной гибридизации кукурузы Грузинской ССР. Труды Грузинского СХИ, 49, 1958.
2. М. В. Глиникова. Кукуруза — важнейший резерв увеличения производства кормов. Совхозное производство, № 2, 1959.
13. „მეცნიერება“, XLVI, № 1, 1967

3. ლ. ს. გიორგაძე. Некоторые интересные грузинские формы кукурузы. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1963.
4. ლ. ლ. Декапрелевич. Сортовой состав кукурузы Грузии и его улучшение. Труды Грузинского СХИ, 49, 1958.
5. П. Ф. Ключко. Особенности гибридов кукурузы от прямых и обратных скрещиваний. Труды научной сессии биологов, посвященной 40-летию Великой Октябрьской социалистической революции, Одесса, 1959.
6. Мангельсдорф. Гибридная кукуруза. ИЛ, М., 1955.
7. Б. П. Соколов. К методике гибридизации при использовании родительских форм разной скороспелости. Кукуруза, № 6, 1959.
8. Дж. Шелл. Возникновение концепции гетерозиса. ИЛ, М., 1955.

ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ

Б. М. КАВТЕЛАДЗЕ, Н. М. ДАТУКИШВИЛИ

СОДЕРЖАНИЕ Sr-90 В ЛИСТЬЯХ И ПЛОДАХ НЕКОТОРЫХ  
ПЛОДОВЫХ КУЛЬТУР

(Представлено академиком Л. И. Джапаридзе 3. 6. 1966)

Известно, что мельчайшие частицы радиоактивных веществ, осаждающиеся на земной поверхности, усваиваются растительными организмами так же, как и другие необходимые им элементы. Установлено также, что означенные выше вещества поглощаются растениями главным образом через листья [1—3]. Поэтому цикл биологической миграции радиоактивных веществ можно представить следующим образом: растение → животное → человек, при этом из круговорота веществ исключается почвенный фактор.

Среди радиоактивных веществ, находящихся в атмосфере, наибольшее внимание уделяется Sr-90, поскольку он имеет довольно мощную энергию излучения, продолжительный период полураспада и наряду с этим активно участвует в биологическом круговороте веществ.

Исходя из вышесказанного целью нашего исследования—изучить содержание и распределение осаждающегося из атмосферы радиостронция в различных органах некоторых плодовых сортов, распространенных в Грузинской ССР.

В 1964 г. из учебно-исследовательского совхоза с. Мухрани нами были собраны листья и плоды различных плодовых культур в период технической спелости.

Содержание Sr-90 определялось согласно методике, разработанной сотрудниками Института атомной энергии.

Результаты анализов (см. таблицу) показывают, что листья всех изучаемых нами плодовых сортов содержали радиостронция больше, нежели развивающиеся на тех же деревьях плоды.

Не отмечается какой-либо прямой зависимости в распределении Sr-90 между листьями и плодами, взятыми с одних и тех же деревьев. Так, листья черешни Майская ранняя, по сравнению с листьями сорта Дрогана желтая, содержали в 5 раз больше Sr-90, тогда как при сравнении плодов последний сорт содержит больше радиостронция. Подобное несоответствие можно видеть и в остальных случаях. Этот факт дает возможность предположить, что отсутствует какое-либо значительное передвижение радиостронция из листьев в плоды, так как в противном случае существовала бы определенная зависимость в распределении этого элемента между листьями и плодами. Об отсутствии передвижения радиостронция из листьев в плоды указывается в ряде других работ с однолетними растениями [4—6].

Содержание Sr-90 в листьях и плодах некоторых плодовых культур  
(радиоактивность  $\times 10^{-10}$  кюри/кг сырого веса)

С о р т	Время отбора	Ли- стья	Плоды	С о р т	Время отбора	Ли- стья	Плоды
Черешня				Персик			
Дрогана желтая	Июнь	1,03	0,36	Молозани	Сентябрь	8,23	0,25
Майская ранняя	Май	5,72	0,31	Кезевадзе	Август	8,60	0,53
Авчальская поздняя	Июль	5,30	0,24	Хидиставский ро- зовый	"	6,95	0,21
Наполеон розовая	Июнь	14,60	0,59	Г р у ш а			
Слива				Вильямс	Июль	1,10	0,28
Венгерка итальянская	Август	4,57	0,24	Лесная красавица	Сентябрь	4,20	0,32
Великий Герцог	"	2,31	0,12	Бере Боск	"	9,03	0,93
Персиковая летняя	Июль	4,42	0,18				

Это явление приобретает особое значение в связи с вопросом о заражении продовольственных культур радиостронцием.

Что касается незначительного содержания Sr-90 в плодах, то оно должно быть обусловлено усвоением этого элемента непосредственно через кожуру плода, поскольку поступление радиостронция через корневую систему почти полностью исключается ввиду адсорбции его поверхностными слоями почвы [7, 8], в то время как активная зона корневой системы плодовых культур располагается довольно глубоко.

Из исследованных нами плодовых сравнительно большим содержанием радиостронция отличаются: груша Бере Боск, черешня Наполеон розовая и персик Кезевадзе. В остальных случаях содержание Sr-90 незначительное и в среднем составляет  $0,25 \cdot 10^{-10}$  кюри/кг.

Из оснований проведенного исследования можно заключить следующее:

1. Листья исследованных нами плодовых культур содержат больше Sr-90, чем плоды, развивающиеся на тех же деревьях.
2. Усвояемый некорневым путем радиостронций не переходит в плоды или же переходит в незначительном количестве.

Академия наук Грузинской ССР  
Институт ботаники

(Поступило в редакцию 3.8.1966)

გვანამთა ფიზიოლოგია

ბ. კავთელაძე, ნ. მ. ნ. მ. დატუკიშვილი

Sr-90-ის შემცველობა სხვადასხვა ხეხილის  
ფოთლებსა და ნაყოფებში

რეზიუმე

შეისწავლებოდა რადიოსტრონიუმის (Sr-90) შემცველობა საქართველოში გავრცელებულ სხვადასხვა ხეხილის ფოთლებსა და ნაყოფებში. ჩატარებული ანალიზების შედეგად გამოირკვა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა ხე-

ბილის ფოთლები რამდენჯერმე მეტ Sr-90-ს შეიცავს, ვიდრე იმავე მცენარეებზე განვითარებული ნაყოფები.

ფოთლებსა და ნაყოფებს შორის რადიოსტრონიუმის განაწილების მხრივ არ აღინიშნება პირდაპირი დამოკიდებულება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფოთლების მიერ ფესვგარეშე შთანთქმული Sr-90, არ უნდა გადადიოდეს ნაყოფებში ან და იგი გადადის უმნიშვნელო რაოდენობით.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. P. Ljaggren. Fall-out radioactivity in Southern Sweden. Nature, 186, N 4725, 1960.
2. J. D. Burton, G. M. Milbourn, S. R. Russel. Relationship between the rate of fall-out and the concentration of strontium-90 in human diet in the United Kingdom. Nature, 185, N 4712. 1960.
3. R. S. Russel, H. M. Squire, R. P. Martin. The effects of Operation Hurricane on plants and soils. A. E. R. E. Rept., Oxford, 1955. Цит. по книге: „Изотопы в сельском хозяйстве“, ИЛ, М., 1961.
4. H. B. Tukey Jr., H. B. Tukey Sr. The loss of organic and inorganic materials by leaching from leaves and other above-ground plant parts. Radiol isotopes soil-plant nutrit studies. Vienna, 1962, 289—302.
5. D. C. Martin. The absorption and translocation of radiostrontium by the leaves, fruits and roots of certain vegetable plants. Ph. D. Thesis, Michigan State University, 1954. Цит. по книге: „Изотопы в сельском хозяйстве“, ИЛ, М., 1961.
6. И. В. Гулякин, Е. В. Юдинцева. Поступление в растениях продуктов деления и их действие на растительный организм. Изв. ТСХА, № 3, 1956.
7. П. М. Чулков, Л. И. Курчатов и др. Содержание Sr-90 в почве и растительном покрове в окрестностях Москвы. Почвоведение, № 4, 1957, 28—34.
8. Ю. М. Штуккенберг. Доза от выпадающих продуктов атомных взрывов. В сб.: «Естественная радиоактивность». Медгиз, М., 1961.

ა. კახანი

მასალეზი ზეთისხილის ჩოფურინანობის გამომწვევის განვითარების  
თავისებურებათა შესწავლისათვის საქართველოში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა 3.10.1966)

ზეთისხილზე გავრცელებულ ავადმყოფობათა შორის თავისი მანევობით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ციკლოკონიოზს, ანუ ჩოფურინანობას.

საქართველოში ამ ავადმყოფობის გავრცელების შესახებ პირველ ცნობებს ა. როლოვი [1] იძლევა. მისი ცნობით, ახალი ათონის ოლქეარებში სოკო პირველად იქნა ნახული 1897 წელს. ასეთივე ცნობებს ვპოულობთ ზორაუერის [2] შრომებშიც.

1914 წელს ავადმყოფობა ვ. სემაშკოს [3] აღნიშნული აქვს სოხუმში. 1928 წელს პ. ნაგორნისა და ე. ერისთავს [4] სოხუმსა და ახალ ათონში.

1945 წელს ლ. ყანჩაველმა [5] აღწერა და საკმაოდ ვრცლად დაახასიათა აღნიშნული ავადმყოფობა.

1964—1966 წლებში ჩატარებული ჩვენი გამოკვლევებით, ციკლოკონიოზი ყველგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ რაიონებში (სოხუმი, ეშერა, ახალი ათონი, ბიჭვინთა, გაგრა, განთიადი, დრანდის მიდამოები, ხეთა, მიაკოვსკი, საჩხერე, მახარაძე და სხვა), სადაც ავადმყოფობის გავრცელება 45—58 პროცენტს აღწევს.

აღმოსავლეთ საქართველოში (გურჯაანი, ლაგოდეხი) ავადმყოფობის გავრცელება 10 პროცენტს არ აღემატება, რაც ჰაერის სიმშრალითაა გაპირობებული.

ავადმყოფობის სიმპტომები. ციკლოკონიოზით ავადდება ზეთისხილის ფოთლის ფირფიტა და ყუნწი, იშვიათად ახალგაზრდა ტოტები და ხაყოფები. ფოთლის ზედა მხარეზე ჩნდება მუქი-ყავისფერი მომრგვალო ლაქები, ზომით 6—10 მმ; ხელსაყრელ პირობებში ლაქების რაოდენობა და ზომა იზრდება, ლაქები ერთმანეთს უერთდება და ფარავს ათელ ფირფიტას.

დასაწყისში ლაქა მუქია, შემდეგ ცენტრში მომწვანო-მონაცრისფრო ან მომწვანო-მოყვითალო ფერისა ხდება, ლაქა შემორკალულია მწვანე-ნაცრისფერი ან ყავისფერი არშიით. ზოგიერთ ჯიშზე (ართვინური, აგოსტინო, კორეჯილო და სანტა-კატერინა) ლაქები ყავისფერი ან შავია, მაგრამ კონცენტრულად არაა შემორკალული. იშვიათად ვითარდება აგრეთვე მოთეთრო ლაქები, რომელიც მომწიფების შემდეგ ვერცხლისფერში გადადიან. ეს უკანასკნელი, როგორც ლიტე-

რატურულ წყაროებშია მითითებული [6], შესაძლებელია სოკოსთან ერთად კუტიკულაში ჰაერის შეღწევის შედეგად წარმოიქმნას.

ფოთლის ყუნწზე ლაქა მუქი-ხავერდოვანია და მას ყავისფერი გადაჰკრავს. ყუნწდაავადებული ფოთლები ძლიერ ადრე ცვივა (დაავადებიდან მე-10-მე-15 დღეს). ნაყოფზე ლაქა ყუნწთან ახლო ვითარდება მომწვანო ლაქების სახით.

ციკლოკონიოზის გამომწვევი და მისი დახასიათება. ზეთისხილის ციკლოკონიოზს იწვევს სოკო *Cyloconium oleaginum* Cas. გამომწვევთან დაკავშირებით ავადყოფობას ხშირად ციკლოკონიუმსაც უწოდებენ.

სოკოს მიცელიუმი ნაცრისფერია ან მოყვითალო-ნაცრისფერი, გასქელებული, დატოტვილი, მრავალუჯრედიანი, ბუნებრივ პირობებში ნაყოფიანობის დროს სოკო არღვევს კუტიკულას, ჰიფები ფოთლის ზედაპირზე ამოდის და ჰქმნის ბატარა ამონაბურცებს, რომლებიც კონიდიოფორების დანიშნულებას ასრულებენ. კონიდიოფორები მუქი-ყავისფერია, მრგვალი ან მოგრძო, ზომით  $12-14 \times 10-12$  მიკრონი.

სპორები კვერცხისებრია, იშვიათად თირკმლისებრი. კონიდიოფორებზე მიმაგრების მხრიდან განიერი და მომრგვალოა, მოპირისპირე მხარეს კი წაგრძელებულ-წამახვილებული; ორუჯრედიანია, იშვიათად—ერთუჯრედიანი, მოყვითალო-მწვანე ფერისა, ზომით  $17-25 \times 10,5 \times 11$  მიკრონი. მომწიფებულ კონიდებს აქვს ცხიმის წვეთები.

ხელოვნურ სუბსტრატზე ციკლოკონიუმი არ იძლევა ბუნებრივისაგან ძლიერ განსხვავებულ ნიშნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კულტურაში სოკოს კოლონია სამ ფენად ვითარდება: ა) ქვედა ფენა სუბსტრატშია ჩაძირული. იგი თხელი ყავისფერი ჰიფებისაგანაა შემდგარი და ზოგჯერ დაყოფილია ქლამიდოსპორების მსგავსად; ბ) შუა ფენა მუქი ყავისფერი ან შავი მოკლე ჰიფებისაგან შედგება; გ) ზედა, ამობერილი ფენა შედგება მოყვითალო-ნაცრისფერი ჰიფებისაგან.

კონიდიუმების წარმოშობა ხდება უმთავრესად ზედა და შუა ფენის ჰიფებზე. კონიდიუმების წარმოშობის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: ჰიფის უჯრედის გვერდითი გარსი იხსნება და წარმოიქმნება ბატარა ამონაბურთი. ეს უკანასკნელი იზრდება, ვიდრე ზომით წარმოშობი ჰიფას დიამეტრს არ გადააჭარბებს. შემდეგ იგი იკეთებს თხელ ყავისფერ გარსს, წაგრძელებულ, უვითარდება ტიხარი და იღებს კვერცხისებრ ფორმას. ზოგჯერ ამონაბურთი უფრო სიგრძეზე იზრდება და ფორმირდება ცილინდრისებრი კონიდიუმები. კულტურაში კონიდიუმების ზომა  $16,5-24 \times 9,5-11$  მიკრონი.

#### ციკლოკონიუმის მიცელიუმის განვითარების პირობები

1. საკვები არეს გავლენა. ლიტერატურული მონაცემებით [7, 8, 9], სოკოს იზოლირება შესაძლებელია ზეთისხილის ფოთლების გამონახარშის გლუკოზიანი აგარის სუბსტრატზე. ამ საკითხის დასაზუსტებლად ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ ციკლოკონიუმის პირველადი იზოლაცია შესაძლებელია ზეთისხილის ფოთლების გამონახარშის 0,2 პროცენტ გლუკოზიან ავა-





რში ან გლუკოზირებულ კარტოფილ-აგარის სუბსტრატზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სუბსტრატებზე სოკოს ზრდა-განვითარება ძლიერ ნელა მიმდინარეობს (ორ თვეში 2 სანტიმეტრსაც არ აღემატება და ნაყოფიანობის წარმოქმნაც 20—25 დღით იგვიანებს ასეთივე განვითარება აღინიშნება ლუდ-აგარაზე. შედარებით უფრო სუსტი ზრდა აღინიშნება ძიძოს ლეროზე. სტაფილოს სუბსტრატზე და განსაკუთრებით ჩაპეის არეზე.

2. ტემპერატურის გავლენა მიცელიუმზე. ციკლოკონიუმის განვითარებაზე ტემპერატურის გავლენის გამოსაკვლევად სოკო პეტრის თასებში აგარიზებული ზეთისხილის ფოთლების გამონახარში+გლუკოზის სუბსტრატზე ვთესავდით და სხვადასხვა ტემპერატურაზე ვათავსებდით. აღმოჩნდა რომ 5°C ტემპერატურაზე მიცელიუმი ზრდას იწყებს მე-10 დღეს და კოლონიის დიამეტრი ორ თვეში 8 მმ-ს არ აღემატება. ტემპერატურის მატებასთან ერთად სოკოს განვითარება თანდათან მატულობს, ოპტიმუმს აღწევს 16—20°C ტემპერატურაზე. კოლონიის დიამეტრი მე-10 დღეს 2 მმ-ია, ერთი თვის შემდეგ—9,5 მმ, ორი თვის შემდეგ კი—22 მმ; 22—24°C ტემპერატურაზე სოკოს ზრდა შენელებულია და ორი თვის შემდეგ 1,8 მმ არ აღემატება; 26—28°C ტემპერატურაზე ზრდა კიდევ უფრო კლებულობს (ორი თვის შემდეგ კოლონია 5,7 მმ არ აღემატება), ხოლო 32°C ზრდა აღარ აღინიშნება, მაგრამ ცხოველმყოფელობას არ კარგავს და 20°C გადატანისას განვითარებას იწყებს.

ამრიგად, სოკოს განვითარების მინიმუმი 5°C, ოპტიმუმი 16—20°C, მაქსიმუმი 30°C.

3. pH-ის გავლენა. ციკლოკონიუმის ზრდა-განვითარებაზე გარემოს pH-ის გავლენის გამოსაკვლევად სოკოს მიცელიუმი გადატანილ იქნა ზეთისხილის ფოთლების გამონახარში აგარიზებულ-გლუკოზიანი, სხვადასხვა რეაქციის მქონე სუბსტრატზე. ცდიდან დადგენილ იქნა, რომ სოკო სრულიად არ ვითარდება სუბსტრატზე, რომლის pH 2,3 უდრის. სუსტად ვითარდება 3,2-ზე pH, შედარებით უკეთ ვითარდება 4,5 pH-ზე და უფრო ინტენსიურად—5,2 pH სუბსტრატზე. საუკეთესო ზრდა-განვითარება აღინიშნულია 5,2—5,8 pH სუბსტრატებზე, რომლის დროსაც ნაყოფიანობას მე-20—22-ე დღეს იძლევა. pH 6—6,4 და 6,8 სუბსტრატზე სოკო ძალზე სუსტად იზრდება. სხვა pH-იან სუბსტრატებზე სოკოს ზრდა-განვითარება არ მიმდინარეობს. ცდის შედეგად დადგინდა, რომ ციკლოკონიუმი ზრდის პროცესში ცვლის სუბსტრატის pH სუსტ-მეკავე რეაქციამდე.

#### ციკლოკონიუმის სპორების განვითარების პირობები

1. ტემპერატურის გავლენა სპორების გაღვივებაზე. ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ ჩავატარეთ ცდები „ღია წვეთის“ მეთოდით. ამისათვის მზადდებოდა სპოროვანი სუსპენზია, რომლის წვეთები სასაგნე მინაზე გადატანის შემდეგ თავსდებოდა ნოტიო კამერაში და იღვმებოდა პოლითერმოსტატში. ცდა ჩატარდა ოთხი განმეორებით (თითოეულში ექვსი წვეთი). აღმოჩნდა, რომ სპორების გაღვივება იწყება 5°C ტემპერატურაზე 24 საათში. 8°C-ზე 24 საათში გაღვივება 9,5%-ს არ აღემატება. 12°C ტემპერატურა-

ზე გალივება 18 საათის შემდეგ იწყება,  $16^{\circ}\text{C}$ -ზე კი — 4 საათის შემდეგ 24 საათში 61,7%-ს აღწევს.  $20^{\circ}$  ტემპერატურაზე გალივება 2 საათში იწყება და 24 საათში 65,3%-ს აღწევს. შემდეგ გალივება თანდათან მცირდება,  $27^{\circ}\text{C}$ -ზე 17,9%-ს, ხოლო  $30^{\circ}\text{C}$ -ზე—5,6%-ს არ აღემატება. ამრიგად, სპორების გალივების მინიმუმი უდრის  $5^{\circ}\text{C}$ , ოპტიმუმი 16— $20^{\circ}\text{C}$ , მაქსიმუმი  $30^{\circ}\text{C}$ .

2. ბიოგენური ფაქტორების გავლენა. ციკლოკონიუმის სპორები ძლიერ სუსტად ღივდებიან წყალსადენის წყალში. უკეთესი გალივების მისაღებად ჩატარდა ცდა  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. აღმოჩნდა რომ 24 საათში სპორები ყველაზე კარგად (65%) ღივდება, როცა წვიმის წყლის წვეთს ემატებოდა ზეთისხილის ფოთლის პატარა ნაჭრები ან ზეთისხილის ფოთლის გამოწაწური. ასეთივე შემდეგი მივიღეთ გლუკოზის სუსტ (0,1—0,2) ხსნარებში; ძლიერ (0,5—1,0) ხსნარებში გალივება შედარებით შემცირებულია და 45%-ს არ აღემატება.

$\text{MgSO}_4$ -ის, სტაფილოს, ლუდის ტკბილისა და ძიძოს ანაფხეკის სუსტ (0,1—0,2%) ხსნარებში გალივება 35,7%-ს შეადგენს. ძლიერ (0,5—1%) ხსნარებში გალივება შემცირებულია და 22—25%-ს არ აღემატება. წვიმის წყალში გალივება 52%-ს უდრის. ლიმონის მჟავა (0,1—0,2—0,5 და 1%) უარყოფითად მოქმედებს სპორების გალივებაზე (5—12%). წყალსადენიდან აღებულ საკონტროლო წვეთში გალივება 10%-ს არ აღემატება.

ამრიგად, გალივებას ხელს უწყობს ბიოსის ტიპის ნივთიერებათა მიმატება წვეთ წყალში. ასეთ დანიშნულებას ასრულებს ამ შემთხვევაში ზეთისხილის ფოთლების პატარა ნაჭრები ან გამოწაწური. საზოგადოდ სპორების გალივება შემცირებულია და 65%-ს არ აღემატება.

3. ტენიანობის გავლენა. სპორების გალივებაზე ტენიანობის გავლენის გამოსაკვლევად სასაგნე მინაზე გადატანილ მშრალ სპორებს ვათავსებდით სხვადასხვა შეფარდებით ტენზე (30—95—100%) ექსიკატორში. ტენი დაცული იყო სხვადასხვა კონცენტრაციის გოგირდის მჟავას ხსნარის გამოყენებით. საკონტროლო სპორებს წვიმის წვეთში ვალივებდით (ბიოსით). ცდა გრძელდებოდა 48 და  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე.

როგორც ჩატარებული ცდიდან გაირკვა, 48 საათის განმავლობაში სპორების გალივება მცირდება 2,9%-მდე; 72—96—120 საათის განმავლობაში კი სპორები კარგავენ ცხოველმყოფელობას და არ ღივდებიან.

5. მზის სხივების გავლენა. მზის სინათლის გავლენის შესასწავლად სპორები სასაგნე მინაზე მოთავსების შემდეგ, გადაგვქონდა მზის სხივების მოქმედების ქვეშ. ექსპოზიციის დამთავრების შემდეგ სპორებს ვათავსებდით წყლის წვეთში და ვალივებდით  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე.

როგორც გამოირკვა, მზის სხივების პირდაპირი გავლენა უარყოფითად მოქმედებს სპორების გალივებაზე. ნახევარ საათში ციკლოკონიუმის სპორების გალივება ეცემა 29,5%-მდე, ერთ საათში—6,7%-მდე 1,5 საათში—0,3%-მდე.

სოკოს პათოგენობა და ინჰიბიტორი პერიოდის ხანგრძლივობა

ლიტერატურული მონაცემებით [6, 8, 9], ზეთისხილის ფოთლებზე ციკლოკონიუმის ინკუბაციური პერიოდი 10—12 დღიდან 2—3 თვეს უდრის. ამ საკითხის ჩვენს პირობებში დასაზუსტებლად ჩატარებულ იქნა ცდა ეშერის სასწავლო-მეურნეობაში. ამისათვის მცენარეების ფოთლები ხელოვნურად სენიანდებოდა წმინდა კლუტურიდან აღებული სპორებით. დასენიანებას ვაწარმოებდით, როგორც მექანიკური დაზიანებით, ისე დაუზიანებლად. სპოროვანი სუსპენზიის შესხურების შემდეგ ტენიანობის შენარჩუნების მიზნით ფოთლებს ვათავსებდით ცელოფანის პარკებში, რომელშიც მცირე რაოდენობით ვასხამდით წყალს. ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ მექანიკურად დაზიანებული ფოთლების ხელოვნური დასენიანების დროს 18—20,8°C ტემპერატურაზე და 95,7—100% შეფარდებითი ტენის დროს სოკოს ინკუბაციური პერიოდი 11—14 დღეს უდრის, მექანიკურად დაზიანების გარეშე კი იგი 28—32 დღემდე გრძელდება.

სოკოს ბადაზაობა და ინჰიბიტორის გზავი

ლიტერატურული მონაცემებით [6], ციკლოკონიუმი იზამთრებს ნიადაგის ზედაპირზე ჩამოცვენილ დაავადებულ ფოთლებზე როგორც სპორების, ისე მიცელიუმის სახით. ამ საკითხის დასაზუსტებლად მავთულბადეში გახვეული დაავადებული ფოთლები მოვათავსეთ ნიადაგში სხვადასხვა (5, 10, 15 და 25 სმ) სიღრმეზე და ნიადაგის ზედაპირზე.

გაზაფხულზე აღრიცხვის ჩატარებისას გამოიჩვენა, რომ მიცელიუმს ყველა შემთხვევაში აქვს შენარჩუნებული სიცოცხლის უნარი; სპორების გალივების უნარი კი სიღრმის მატებასთან ერთად კლებულობს. სპორების გალივება უდრის: ნიადაგის ზედაპირზე 58%-ს, 5 სმ-ზე — 22,7%, 10 სმ-ზე — 8,5%-ს, 15 სმ-ზე — 2,5%-ს; 20 სმ-ზე კი სპორები არ ღივდებიან.

ზამთრის განმავლობაში მცენარეზე შერჩენილ დაავადებულ ფოთლებზე მყოფი სპორების გალივების უნარის შესწავლიდან გამოიჩვენა, რომ მასალაზე სპორების გალივება 1964 წ. 62,5%-ს უდრიდა, 1965 წ. კი—60%-ს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს პირობებში სოკოს შეუძლია გადაიზამთროს, როგორც ხეზე და ნიადაგის ზედაპირზე დარჩენილ, ისე ნიადაგში მოთავსებულ ფოთლებზე. რამდენადაც ღრმადაა ფოთოლი ნიადაგში, იმდენად უფრო სპორების გალივების უნარი კლებულობს.

დასკვნები

1. ზეთისხილის ციკლოკონიოზი — *Cyloconium oleaginum* Cast. — ძლიერ გავრცელებული ავადმყოფობაა ყველგან, სადაც ზეთისხილის მოყვანას მისდევენ. საქართველოში იგი გავრცელებულია ყველგან. მეტწილად კი დასავლეთ საქართველოში, სადაც მისგან დაავადებულ ფოთოლთა რაოდენობა 85%-ს აღწევს.

2. ფოთოლზე ჩნდება მომრგვალო, ჯერ მუქი-ყავისფერი, შემდეგ ცენტრში მონაცრისფრო ან მომწვანო-მოყვითალო, გარშემო ასეთივე ნაცრის ან ყავის-

ფერის არშით გარშემოვლებული ლაქები, რომლებიც ყუნწის ან ფირფიტის დაფარვის შემთხვევაში იწვევს უდროვოდ ცვენას და მოსავლის ძლიერ შემცირებას. ყუნწზე ლაქა მუქი ხავერდოვანია. სხვა ორგანოებზე იშვიათად ჩნდება.

3. ავადმყოფობის გამომწვევი ძლიერ ნელა ვითარდება, უკეთ იზრდება და ნაყოფიანობას იძლევა ზეთისხილის ფოთლის გამონაწერი  $+0,2\%$  გლუკოზას აგარზე ან ლუდის წვენი აგარზე  $16-20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. მინიმუმია  $5^{\circ}\text{C}$ , მაქსიმუმი  $30^{\circ}\text{C}$ .

4. სოკო უკეთ იზრდება და ნაყოფიანობს საკვები არეს pH 5,2—5,8 დროს

5. სპორების გალივების ოპტიმალური ტემპერატურაა  $16-20^{\circ}\text{C}$ , მინიმუმი  $5^{\circ}\text{C}$ , მაქსიმუმი  $30^{\circ}\text{C}$ . სპორები ღივდება მხოლოდ მაღალ (100% ტენიანობის არეში და წვეთ წყალში. ცუდად ღივდებიან გამომშრობის შემდეგ (48 საათის შემდეგ გალივება  $2,9\%$ -ს არ აღემატება). უფრო ცუდად იტანენ მზის სხივების პირდაპირ გავლენას (1 საათის შემდეგ გალივება  $6,7\%$ -ს არ აღემატება).

6. სპორების გალივებას ძლიერ უწყობს ხელს წყლის წვეთს მიმატებული ზეთისხილის ფოთლის პატარა ნაჭრები ან ზეთისხილისავე ფოთლის გამონაწერი. ლიმონის მკაფა უარყოფითად მოქმედებს სპორების გალივებაზე.

7. სოკო ძლიერ პათოგენურია. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება იმისდა მიხედვით, დაზიანებულა თუ არა ფოთოლი მექანიკურად.  $18-20,8^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს, მაღალი ტენიანობის არეში მისი ხანგრძლივობა მექანიკურად დაზიანებულ ფოთლებზე 11—14 დღეს უდრის, დაუზიანებელზე —28—32 დღეს.

8. ციკლოკონიუმი დასავლეთ საქართველოს პირობებში იზამთრებს, როგორც ხეზე და ნიადაგის ზედაპირზე დარჩენილ, ისე ნიადაგში მოთავსებულ ფოთლებზე. ნიადაგში სიღრმის მიხედვით სპორების გალივების უნარი შემცირებულია.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 3. 10. 1966)

ФИТОПАТОЛОГИЯ

А. М. ДЗАГАНИЯ

## МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ОСОБЕННОСТЕЙ РАЗВИТИЯ ВОЗБУДИТЕЛЯ «ОСПЫ» МАСЛИНЫ В ГРУЗИИ

Резюме

Циклоконииоз маслины (*Cycloconium oleaginum* Cast.) распространен в Грузии повсеместно. Особенно интенсивное развитие болезни отмечается в Западной Грузии, где, по данным 1964—1966 гг., поражение оливковых плантаций циклоконииумом составляет 45—58%.

Гриб поражает главным образом листья и черешки, а также молодые побеги, плоды и плодоножки маслины. Проявляется это заболева-

ბიე в виде темно-коричневых округлых пятен на верхней стороне листьев. Пораженные листья, сплошь покрытые пятнами, осыпаются.

Развитию болезни благоприятствует влажная погода бесной. Продолжительность инкубационного периода циклоконииума при температуре 18—20,8°C и относительной влажности 95,7—100% на механически поврежденных листьях равна 11—14 дням, а без механической поврежденности — 28—32 дням. Оптимальной температурой для роста и развития циклоконииума является 17—20°C, максимальной 30°C и минимальной 5°C. Под влиянием солнечных лучей при температуре 40°C споры быстро (через 1 час) теряют жизнеспособность. Споры циклоконииума прорастают только в капле воды (60%), а при 100% влажности на протяжении 48 часов количество проросших спор не превышает 18%. При относительной влажности 95% и ниже прорастание спор не наблюдалось.

Под влиянием сухости, при экспозиции 24 часа, прорастание спор циклоконииума уменьшается до 12,5—14,7%. Внесением биоса (вытяжка из листьев маслины или 0,1—0,2% глюкозы) в каплю воды стимулируется прорастание спор. Добавление лимонной кислоты сильно снижает процент прорастания спор.

Для роста и развития гриба *Cycloconium oleaginum* Cast. наилучшей реакцией среды является рН 5,2. Циклоконииум лучше перезимовывает на дереве и на поверхности почвы. Опыты показывают, что при хранении пораженных грибом листьев в почве жизнеспособность спор с глубиной уменьшается.

#### დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. А. Роллов. Разведение маслины. Тифлис, 1898.
2. P. Sorauer. Zeitschrift für Pflanzen Krankheiten, Band XI, 1901.
3. В. Семашко. Материалы к микологической флоре Сухумского округа, I. Труды Сухумской садовой и с/х опытной станции. Петроград, 1915.
4. П. Нагорный, Е. Эрнстави. Краткий обзор болезней растений Абхазии. Известия Абхазской с/х опытной станции, 38. Сухуми, 1928.
5. ლ. ყანჩაველი. სსსოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობანი. ნაწ. II, თბილისი, 1945.
6. U. Brizi. Il vaiolo dell'olivo (*Cycloconium oleaginum* Cast.) e il modo di combaterlo. Staz. Sper. Agr. Italia, 32, 1889.
7. M. Salerno. Osservazioni Sull'agente dell' Occhio di pavone dell' Olivo (*Cycloconium oleaginum* Cast.). Annali della Sper. Agr. N. S., vol. 12, № 3, Roma, 1958.
8. E. Wilson, N. Miller. Olive leaf spot ist control with fungicides. Hilgardia, 19, 1, 1949.
9. P. Cambogi. Qualche notizie Sull' Occhio di pavone o cycloconio dell'olivo (Nota descrittiva). Agr. Ital., LVIII (XIII N. S.), 1958.



ც. ჩუბინიშვილი

მასალები მარწყვის მავნე ფაუნის შესწავლისათვის  
 საქართველოში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდამ 12.7.1966)

მიუხედავად იმისა, რომ მარწყვი (*Fragaria grandiflora* Ehrh.) ზიანდება ძრავალი მავნებლის მიერ, დღემდე ამ საკითხის ირგვლივ საქართველოს პირობებისათვის მეტად მცირე მასალა მოიპოვება.

1962—1964 წლებში ჩატარებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონების გამოკვლევების შედეგად ჩვენ მიერ მარწყვზე რეგისტრირებულ იქნა 24 სახეობის მავნებელი. ქვემოთ ვიხილავთ მავნებლებს სისტემატიკური ჯგუფების მიხედვით:

- კლასი Insecta,
- რაზმი Homoptera,
- ქვერაზმი Aphidodea,
- ოჯახი Aphididae,
- ქვეოჯახი Aphidinae.

1. *Aphis forbesi* Weed. — მარწყვის ფესვის ბუგრი. გავრცელებულია კალიფორნიისა და ოჰაიოს შტატებში. ს ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს [1] ცნობით, ეს ბუგრი პირველად შენიშნულ იქნა აშშ 1884 წელს, სადაც მისგან ზიანდებოდა ფესვები და მიწასთან ახლო მყოფი ფოთლები. წუწვნის შედეგად ფესვებზე წარმოიქმნება კოჩერები. საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი საქართველოში, მარწყვის ფესვის ბუგრის გავრცელების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. იგი ჩვენ მიერ მარწყვზე პირველად არის აღნიშნული დილომში 1962—1963 წლებში 10—15 მაისს. ჩვენი დაკვირვებების დროს ბუგრები დასახლებული იყო მხოლოდ ღეროსა და ახალგაზრდა ფოთლებზე, რომლებიც წუწვნის შედეგად იყო დახვეული. ბუგრისაგან ფესვების დაზიანება ჩვენ მიერ არაა შენიშნული. გავრცელებულია ერთეულების სახით.

2. *Myzodes persicae* Sulz. — თამბაქოს ანუ ატმის ბუგრი. გავრცელებულია როგორც ევროპის სამხრეთ, ისე საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთ რაიონებში და შუა აზიის რესპუბლიკებში. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. პოლიფაგია. ჩვენ მიერ ატმის ბუგრის მავნეობა მარწყ-

ვის ნარგაობაზე (რაც გამოიხატება ფოთლების დახვევა-დახუჭუჭებაში) რეგისტრირებულია როგორც აღმოსავლეთ (დილომი—1962 12/V), ისე დასავლეთ საქართველოში (სამტრედია—1963 17/V).

### ქვერაზმი Auchenorrhyncha

#### ოჯახი Cercopidae

1. *Philaenus spumarius* L. — დუეიანა ჭიჭინობელა. მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სახეობაა. ჩვენში გვხვდება, როგორც აღმოსავლეთ (დილომი — 1962 15/V; 1963 9/V; 1963 16/V), ისე დასავლეთ საქართველოში (სამტრედია—1963 8/IV; 1964 16/V). დუეიანას მატლები მარწყვის ფოთლებს აზიანებენ წუწვნით, რის შედეგად ფოთოლი უფერულდება. ჭიჭინობელას მატლები და ნიმფები თავმოყრილი არიან ღეროზე და ფოთლის ქვედა მხარეზე. აქ ისინი დაფარულია მათ მიერვე გამოყოფილი ქაფით (დუეით). ხშირად გვხვდება სარეველა ბალახებზე.

### რაზმი Orthoptera

#### ოჯახი Gryllotalpidae

1. *Gryllotalpa gryllotalpa* L. — ბოსტანა. გავრცელებულია დასავლეთ ევროპასა და სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში, ჩრდილოეთ ამერიკაში, მცირე აზიაში, სირიაში, კავკასიაში და სხვ. საქართველოში იგი ყველგანაა გავრცელებული. ბოსტანას მთავარი საკვებია: მცენარის ფესვები, ფესვნაყოფები, თესლი და ახალგაზრდა აღმონაცენების ღეროები. ჩვენ მიერ 1962 წლის 14 აპრილს დილომში შენიშნულია მახრას მიერ მარწყვის ფესვების გადარღწვა.

### რაზმი Coleoptera

#### ოჯახი Scarabaeidae

1. *Oxythyrea funesta* Poda — ლაქებიანი ბრინჯაოსანა. მისი გავრცელება აღნიშნულია ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში, იტალიასა და კავკასიაში. ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოში (დილომი—1962 3/V, გლდანი—1963 6/V, ავჭალა—1963 21/V) შენიშნულია ხოჭოს მიერ მარწყვის ყვავილების დაზიანება უმნიშვნელო რაოდენობით.

2. *Epicometis senicula* Mén. — ბრინჯაოსანა. გავრცელებულია ამიერკავკასიაში და წინა აზიაში. ჩვენი დაკვირვებებისას 1962 5/VI დილომსა და 1962 9/IV ავჭალაში შენიშნულია მისგან მარწყვის ყვავილების მნიშვნელოვანი დაზიანება.

3. *Valgus hemipterus* L. გავრცელებულია ევროპასა და რუსეთის სამხრეთ ნაწილში. ჩვენი დაკვირვებებით, დილომში (1962 14/VI) ხოჭოებისაგან, ზიანდება მარწყვის ყვავილები და ფოთლები.

ოჯახი Mordellidae

1. *Mordellistena pumila* Gyll. — კუზიანა ანუ ქაცვფეხა. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, ციმბირსა და ჩრდ. აფრიკაში. ჩვენ მიერ დილომში (1962 25/IV, 1963 22/IV, 1964 20/IV) შენიშნულია მარწყვის ყვავილების დაზიანება.

ოჯახი Curculionidae

1. *Polydrosus inustus* Germ. — ფოთლის ბეწვიანი ცხვირგრძელა. გავრცელებულია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის შუა და სამხრ. ზოლში, ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. ლიტერატურული წყაროების [2—9] მიხედვით, ფოთლის ბეწვიან ცხვირგრძელას ხოჭოს მკვებავი მცენარეებია: ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი და ნუში. ხოჭო იკვებება აგრეთვე მუხის, თრიმლის, ძეძვის, იფნის, კვრინჩხის, ბროწეულის, კუნელისა და პანტის ფოთლებით. საკმაო რაოდენობით აღინიშნება საკვები ბალახებისა და მინდვრის კულტურების სარეველების დაზიანება. საქართველოში მარწყვის კულტურაზე ფოთლის ბეწვიანი ცხვირგრძელა პირველად აღინიშნება ჩვენ მიერ (გლდანი, დილომი, ავჭალა, გორი — 1962 — 64 წწ.). აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ფოთლის ბეწვიან ცხვირგრძელას მატლის მავნეობის შესახებ არაფერია აღნიშნული. ჩვენი გამოკვლევის მიხედვით მარწყვს აზიანებს როგორც ხოჭო, ისე მატლი; ნიადაგში მცხოვრები ცხვირგრძელას მატლები ღრღნიან მარწყვის ფესვებს, ხოლო ხოჭოები იკვებებიან ფოთლებით, გვირგვინის ფურცლებითა და ჭამის ფოთოლაკებით.

ოჯახი Chrysomellidae

1. *Labidostomis lucida* Grm. გავრცელებულია გერმანიაში, საფრანგეთში, სამხრეთ რუსეთსა და კავკასიაში. საქართველოს პირობებში ხოჭო აზიანებს მარწყვის ყვავილებს (დილომი 1962 4/VI, 1963 7/V).

ოჯახი Cantharididae

1. *Cantharis livida* L. — რბილტანიანა. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, წინა აზიასა და დასავლეთ ციმბირში. ჩვენ მიერ დილომში 1962 3/V რეგისტრირებულია მარწყვის ყვავილების დაზიანება.

ოჯახი Nitidulidae

1. *Meligethes aeneus* F. — რატის ყვავილქამია. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, წინა და შუა აზიაში, ციმბირში, ჩრდ. აფრიკასა და ამერიკაში. ჩვენ მიერ დილომში 1964 14/IV შენიშნულია ხოჭოს მიერ მარწყვის ყვავილების უმნიშვნელო დაზიანება.





## რაზმი Hymenoptera

## ქვერაზმი Symphyta

## ოჯახი Tentredinidae

1. *Euphytus cinctus* L. — მარწყვის სარტყელიანი ხერხია. გავრცელებულია მთელ ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. სსრ კავშირის ტერიტორიაზე აღინიშნებოდა სოხეთში, ჩრდ. კავკასიაში, უზბეკეთში, ციმბირში, მცირე აზიასა და საქართველოში.

ჩვენ მიერ რეგისტრირებულია როგორც აღმოსავლეთ (დიდომი — 1962 15/IV), ისე დასავლეთ საქართველოში (სამტრედია—1962 26/IV, 1963 25/IV და 1964 20/V). გავრცელებულია მასობრივად. სპირალისებურად დახვეული მატლები თავსდება მარწყვის ფოთლების ქვედა მხარეზე; გვერდით ძარღვებს შორის ღრღინის შედეგად მატლები იწვევენ ფოთლის ფანჯრულ დაზიანებას.

2. *Cladius pectinicornis* Geoff. — ჯავროვანი ანუ მარწყვის სავარცხლისებრულევაშა ხერხია. გავრცელებულია ამერიკაში, ევროპაში, მცირე აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. იგი გავრცელებულია აგრეთვე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რაიონებში. მარწყვის ფოთლებს აზიანებენ იმგვარადვე, როგორც წინა სახეობა.

## რაზმი Lepidoptera

## ოჯახი Tortricidae

1. *Tortrix (Eulia) politana* Hw. — ნაირქამია ფოთლიხვევია. გავრცელება აღნიშნულია ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. საბჭოთა კავშირში იგი ბრავალ ადგილას გვხვდება. ჩვენ მიერ 1963—1964 წლებში აღნიშნული ფოთლიხვევია რეგისტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოში — დიდომსა (1964 7/VI) და გორში (1964 14/VI), სადაც მატლების მიერ მარწყვის ფოთლები მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული.

2. *Ancylis comptana* Froel. — მარწყვის ფოთლიხვევია. საკმაოდ გავრცელებულია ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. მის გავრცელებას უმთავრესად კერობრივი ხასიათი აქვს. საქართველოში მისი მასობრივი გავრცელება აღინიშნა გორში (1962 14/VI და 1963 27/VI) და დიდომში (1964 2/VI). სოხუმში (1963 22/X) იგი გვხვდება ერთეულების სახით. საქართველოს პირობებში, როგორც მარწყვის კულტურის ერთ-ერთი სერიოზული მავნებელი პირველად აღინიშნება ჩვენ მიერ. ზიანი მოაქვს მატლს. იგი გამოჩეკისთანავე იწყებს კვებას. ჰამს ფოთლის ქვედა ეპიდერმისს ძარღვებს შორის, პირიდან გამოყოფს ნერწყვს, რომელიც აბლაბუდისებრ ძაფებად შრება. მესამე ასაკიდან მატლი გადადის ფოთლის ზედა მხარეზე და ჰამს ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისს ძარღვებს შორის. ასეთი დაზიანების შედეგად ფოთლი საბოლოოდ დაცხრილულ სახეს იღებს. ზოგ შემთხვევაში მატლი თავსდება რა ფოთლის ზედა მხარეზე, კეცავს მას ორად და შიგ მოქცეული განაგრძობს კვებას. მატლი უმეტესად სი-

გარისებურად ახვევს 2 ან 3 ფოთოლს და შიგ თავსდება. მისი დაჭუპრებაც აქვე — სიგარებში—ხდება. ამგვარად დაზიანებული ფოთოლი ხმება.

ოჯახი Cacoecia

1. *Cacoecia strigana* Hb. — მკედავი ფოთლიხვევია. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, შუა აზიასა და ციმბირში. აღმოსავლეთ საქართველოში (დილოში 1963 17/VII) ვნახეთ მარწყვზე ერთეულების სახით. პირველი და მეორე ასაკის მატლები იწვევენ ფოთლის ქვედა ეპიდერმისის, ხოლო შემდეგი ხნოვანების მატლები ფოთლის მთლიან ამოკმას.

ოჯახი Liparidae

1. *Nygmia phaeorrhoea* L. — ოქროკუდა. გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში, აფრიკაში. საბჭოთა კავშირში აღნიშნულია შუა და სამხ. ევროპულ ნაწილში, შუა აზიის რესპუბლიკებში და ამიერკავკასიაში. საქართველოში გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე მის დასავლეთ ნაწილში. ავჭალაში, მარწყვზე შენიშუნლია 1963 16/V ერთეული ცალარსები. მატლი აზიანებს ფოთოლს.

ოჯახი Noctuidae

1. *Xylina exoleta* L. ჩვენი მონაცემებით (დილოში—1963 6/VI) მატლები მთლიანად ჭამენ მარწყვის ფოთლებს და ტოვებენ შეუქმელს მხოლოდ მთავარ ძარღვებს.

კლასი Arachnoidea.

რანში Acariformes.

ქვერანში Trombidiiformes.

ოჯახი Tetranychidae.

1. *Tetranychus telarius* Koch. — ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. პოლიფაგია. სხვა მცენარეთა შორის აზიანებს მარწყვსაც. დაზიანებული ფოთლები უფერულდება, იგრისება და ხმება. უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება საქართველოში მარწყვის გავრცელების თითქმის ყველა რაიონში (სამტრედია—1962 14/VII; წყალტუბო—1963 19/VI; ავჭალა — 1954 15/VII).

ოჯახი Tarsonemidae.

1. *Tarsonemus pallidus* Banks. — მარწყვის ტკიპა. ფართოდ გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ჩვენ მიერ რეგისტრირებულია დასავლეთ საქართველოში სამტრედიის რაიონის სოფ. მელაურის კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე (სამტრედია—1962 9/V; 15/VII). აზიანებს ფოთლებს.

კლასი Gastropoda

ნიქარიანი მოლუსკებიდან ჩვენ მიერ მარწყვზე რეგისტრირებულია გორსა (1963 5/V) და დილოში (1964 15/V) *Helicella (Xenopicta) derbentina* Kryn.—დარუბანდული ჰელიცელა, რომელიც აზიანებს მარწყვის ნაყოფს. მოლუსკების მიერ გამოწვეული დაზიანების შედეგად ნაყოფზე ჩნდება ჩაღრმავებები და ხვრელები.

შიშველი მოლუსკებიდან ჩვენ მიერ მარწყვზე *Limacidae*-ს ოჯახიდან აღინიშნა ლოქორიები. ამ ოჯახის წარმომადგენლებიც აზიანებენ მარწყვის ნაყოფს. რეგისტრირებულია სამტრედიაში (1962 17/V, 1963 20/V, 1964 23 /V) და დილოში (1962 21 /VI და 1964 12/VI).

კლასი Nematoda

ოჯახი Tylenchidae

1. *Ditylenchus dipsaci* — ღეროს ნემატოდა. საბჭოთა კავშირში თითქმის ყველგან გვხვდება. პოლიფაგია. საგრძნობლად აზიანებს მარწყვს. 1962 წლამდე საქართველოში მარწყვით გაშენებულ ნაკვეთებზე ნემატოდების გავრცელებისა და საზიანო მოქმედების შესახებ ცნობები არ მოიპოვებოდა. ჩვენ მიერ (1963 9/IV) მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტერიტორიაზე (დილოში) მარწყვის ნარგაობის შემოწმებისას აღინიშნა ნემატოდებით გამოწვეული დაზიანება. შემდეგ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ღეროს ნემატოდა გავრცელებული აღმოჩნდა გორის, სამტრედიისა და სოხუმის რაიონებში. ნემატოდით დაზიანების შედეგად მარწყვის ფოთლები დეფორმირებული და გოფირებულია. დაზიანების შედეგად, ჩვეულებრივ, სამის ნაცვლად ხშირად ფოთლის ერთი ან ორი ფოთოლაკია განვითარებული. ზოგჯერ ფოთლები დაფარულია მოყავისფრო-მოწითალო ლაქებით, მათი ყუნწი და ყვავილთმტარი შემოკლებული და გამსხვილებულია; ბუჩქის შუაგულში ხშირად ვითარდება სახეშეცვლილი ყლორტები, რომლებიც ყვავილოვან კომბოსტოს წააგავს. ასეთი დაზიანების შედეგად ნაყოფი ხშირად არ ვითარდება, მოსავალი საგრძნობლად მცირდება, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში მცენარე ჭკნება და ხმება.

ამრიგად, ჩამოთვლილ სახეობებიდან საბჭოთა კავშირის მარწყვის მავნე ფაუნის რიცხვს (რომელიც 60-ს აღწევს) მიემატა ჩვენ მიერ გამოვლინებული 13 სახეობა; ამავე დროს საქართველოს მარწყვის მავნე ფაუნის საერთო რიცხ-

გი გაიზარდა 40-მდე. რეგისტრირებულ 24 სახეობიდან საქართველოს პირობებისათვის 4 ჩვენ მიერ პირველად აღინიშნება მარწყვზე, ხოლო 7 სახეობა აღინიშნება პირველად, როგორც მარწყვის კულტურისათვის მავნე.

საქართველოს სსრ მეზღვების, მევენახეობისა და მეღვინეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 12.7.1966)

ЭНТОМОЛОГИЯ

Ц. И. ЧУБИНИШВИЛИ

## МАТЕРИАЛЫ ПО ИЗУЧЕНИЮ ВРЕДНОЙ ФАУНЫ ЗЕМЛЯНИКИ В ГРУЗИИ

Резюме

В результате обследований, проведенных нами в 1962—1964 гг., в Грузии зарегистрировано 24 вида вредителей земляники, из которых впервые в условиях Грузии отмечаются четыре вида: земляничная корневая тля *Aphis forbesi* Weed., волосистый листовой слоник *Polydrosus inustus* Germ., земляничная листовертка *Ancylics comptana* Froel. и стеблевая нематода *Ditylenchus dipsaci*, а впервые как вредители упомянутой культуры—семь видов: *Valgus hemipterus* L., *Mordellistena pumila* Gyll., *Labidostomis lucida* Grm., *Cantharis livida* L., *Tortrix politana* Hw., *Cacoecia strigana* Hb. и *Xylina exoleta* L.

Самым большим отрицательным хозяйственным значением из выявленных видов характеризуются *Polydrosus inustus* Grm., *Ancylics comptana* Froel. и *Ditylenchus dipsaci*.

### დავოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. E. D. Sanderson. The strawberry Root Louse (*Aphis forbesi* Weed.). Delaware College agricultural Experiment Station, Bulletin № XLIX, December, 1900.
2. ირ. ბათიაშვილი, ი. თვალაძე. თბილისის მიდამოებსა და გარე კახეთში გავრცელებული ხეხილის მავნე ფაუნის შესწავლისათვის. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, თბილისი, 1948.
3. თ. ეთილაშვილი. თბილისისა და მისი მიდამოების დეკორატიულ ნარგავთა ფაუნის შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 2, თბილისი, 1950.
4. თ. ჯავჭანიძე. საკვებო ბალახების მთავარი მავნებლები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. თბილისი, 1954.

5. ა. კოლოკავა. კახეთში გავრცელებული ცხვირგრძელა ზოგობის (Coleoptera, Atelabidae და Curculionidae) ეკოლოგიურ-ფუნქციური შიშობილა. ავტორეფერატი. თბილისი, 1963.
6. Д. Н. Кобахидзе. Вредная энтомофауна сельскохозяйственных культур Грузинской ССР. Тбилиси, 1957.
7. Р. Ф. Савенко. Перечень вредителей сельскохозяйственных культур ЗСФСР, ч. I. Беспозвоночные. Изд. Грузинского филиала АН СССР, Тифлис, 1935.
8. Б. П. Уваров. Сельскохозяйственная энтомология. Насекомые, вредящие сельскому хозяйству Грузии, и борьба с ними. Тифлис, 1920.
9. Н. В. Хачапуридзе. Обзор главнейших вредителей с/х Грузии. Изд. Отд. защиты растений НКЗ Грузии, Тифлис, 1930.

ი. სხირტლაძე

მასალები მისხმეთ-ჯავახეთში გავრცელებული ფუტკრისნაირთა  
(*APIDAE*) ფაუნის შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 14.10.1966)

საქართველოს პირობებში ფუტკრისნაირებიდან კარგადაა შესწავლილი შინაური ფუტკარი [1, 2, 3]. რაც შეეხება მათ გარეულ ფორმებს, ისინი დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია და, ცხადია, ამ საკითხზე ლიტერატურაში არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილების ფონდებშიც, ძალზე მცირე რაოდენობითაა დაცული ამ რაიონებიდან მოპოვებული ფუტკრისნაირთა ფაუნისტური მასალა.

ფუტკრისნაირთა ფაუნის შესწავლასა და მათი სახეობრივი შედგენილობის გამოვლინებას უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ ოჯახის წარმომადგენლებს, კერძოდ შინაურ ფუტკარს, დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, როგორც თაფლისა და ცვილის მომცემს, ყვავილოვან მცენარეთა დამამტკვრიანებელს; ამავე დროს ფუტკრის შხამს დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში, როგორც რევმატიზმისა, იშემიის, ბაზედოვის დაავადების ნერვული სისტემისა და თვალის ზოგიერთი დაავადების სამკურნალო საშუალებას.

აღნიშნული მიზანდასახულების განსახორციელებლად მონაწილეობა მივიღე სპეციალურ ექსპედიციაში მესხეთ-ჯავახეთში 1964 წლის ივნის-ივლისში.

სამარშრუტო გამოკვლევები ჩატარებულ იქნა საკვლევი რაიონის შემდეგ ადგილებში: ახალციხის, მინაძის, ურაველის, არალის, ასპინძის, ვალეს, ნიგოეთის, აწყურის, აბასთუმნის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ბალხოს, ხანდოს, მერენიას, სულდასა და ახალქალაქის მიდამოებში. შესწავლილ იქნა აგრეთვე ზეკარისა და გოდერძის ვადასავლელები.

მესხეთ-ჯავახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ ნაწილში. აღნიშნული ტერიტორია შემოსაზღვრულია დასავლეთით არსიანის ქედით, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით — აჭარა-იმერეთის ქედით, ჩრდილო-აღმოსავლეთით თრიალეთის ქედით, აღმოსავლეთით — სამასარისა და ჯავახეთის (ყუჩუთის) ქედებით. სამხრეთით მას ესაზღვრება თურქეთი.

მესხეთ-ჯავახეთის კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედები, რომლებიც აღმართულია მერიდიანულად და ხელს უშლის შავი ზღვის სანაპიროებიდან მომავალი თბილი ჰაერის მასების შემოჭრას. ამი-

ტომ აქ ჰავა მშრალი და კონტინენტურია. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ჯავახეთის პლატოზე.

ეს რაიონი შედარებით მცირე ნალექიანობით ხასიათდება.

საკვლევი რაიონის ფარდობითი ტენიანობა უდრის 69—77%-ს, ზამთარი მკაცრია, ხოლო ზაფხული ზომიერად ცხელი. ასეთი კლიმატი (სიმშრალე, კონტინენტურობა) განაპირობებს მცენარეული საფარის სიღარიბესა და წიფლნარი ტყეების სიმცირეს, რაც მთელ კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული.

მესხეთ-ჯავახეთში გვხვდება მთა-მდელოთა ნიადაგები. ასევე გავრცელებულია ყოშრალი და ყავისფერი ნიადაგები, საკმარისად დიდი ადგილი უკავია შავ-მიწა და ტორფიან ნიადაგებს.

საკვლევი ტერიტორიისათვის დამახასიათებელია კლდის ქსეროფიტული მცენარეულობა. ტყეების ძირითადი ნაწილი მოქცეულია მესხეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ჯავახეთის მთიანეთს, აქ შემორჩენილია მცირეოდენი ტყით დაფარული ადგილები.

მესხეთ-ჯავახეთში მისდევენ მემინდვრობას, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების მოყვანას. საკმარისად დიდი ადგილი უკავია კარტოფილს, აგრეთვე ფართოდ განვითარებულია მეხილეობა. წამყვან დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა.

მესხეთ-ჯავახეთი მეფუტკრეობის მხრივ ძველთაგანვე ცნობილი იყო. „ფუტკარი ძრავალი და თაფლნი კარგნი და მრავალნიო“ — შენიშნავს ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი.

მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უწყობს თაფლოვანი ბალახეულობის, სათიბებისა და წიწვოვანი ტყეების სიუხვე. ამავე დროს მესხეთ-ჯავახეთის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ველურ ფუტკრისნაირთა სახეობრივი შედგენილობის სიმდიდრეს.

ქვემოთ მოგვყავს ფუტკრისნაირთა იმ სახეობების სია, რომლებიც ჩვენ მიერ მოპოვებულია აღნიშნული ექსპედიციის დროს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახეობები დადგენილია მხოლოდ ზრდასრული ფორმის მიხედვით.

მესხეთ-ჯავახეთში მოპოვებული ფუტკრისნაირთა სახეობრივი შემადგენლობა<sup>1</sup>

### 1. *Prosopis* sp.

ახალციხე, 2.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. აბასთუმანი, 20.VI, წიწვოვან კორომში.

### 2. *Halictus sexcinctus* F.

ურაველი, 6.VI, სათიბ-სავარგულზე. ახალციხე, 12.VI, მდინარის სანაპირო, ფერდობი.

<sup>1</sup> სახეობების გარკვევა დამოწმებულია დ. პანფილოვისა (მოსკოვის პალეონტოლოგიის ინსტიტუტი) და ა. პონამორევის მიერ (სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი).

### 3. *Halictus* sp.

მიხაძე, 1.VI, ახალციხე, 2—12.VI, მდინარის სანაპირო. ურაველი, 1—5.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი, ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე. თმოგვი, 13.VI, წუნდის ტბის მიდამოები. აბასთუმანი, 19.VI. წიწვოვან კორომში. ადიგენი, 25.VI. სათიბ-სავარგულზე.

### 4. *H. major* Nyl.

ადიგენი, 27.VI; სათიბ-სავარგულზე.

### 5. *H. xanthopus* Rby.

ბაღზო, 11. VII, წიწვოვან კორომში.

### 6. *Sphecodes* sp.

ბაღზო, 9.VII, წიწვოვან კორომში. ნიგოეთი, 13.VI, წუნდის ტბის მიდამოები.

### 7. *Andrena carinata* F. Mor.

აწყური, 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

### 8. *A. allofasciata* Thomas

ახალციხე, 8.VI, სათიბ-სავარგულზე.

### 9. *Andrena* sp.

ურაველი, 4—5.VI, წიწვოვან კორომში. ახალციხე, 2—8—10.VI, მდ. ფოცხოვის სანაპირო. ფერდობი. თმოგვი, 13.VI, წუნდის ტბის მიდამოები, ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე. აწყური, 17.VI, ხეხილის ბაღში, აბასთუმანი, 19.VI, წიწვოვან კორომში, ზეკარის გადასასვლელი, 21.VI, მერენია, 20.VII, სათიბ-სავარგულზე. ურაველი, 26.VII, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

### 10. *Melitturga clavicornis* Latr.

აწყური 17.VI, სათიბ-სავარგულზე. ადიგენი, 25.VI.

### 11. *Ceratina callosa* F.

ახალციხე, 8.VI, მდ. ფოცხოვის სანაპირო, ფერდობი.

### 12. *Xylocopa valga* Gerst.

მიხაძე, 1—2.VI, ხეხილის ბაღში. ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე. ასპინძა, 14.VI, ახალციხე, 18.VI, ხეხილის ბაღში. აბასთუმანი, 19.VI, წიწვოვან კორომში. ურაველი, 26.VII, ხეხილის ბაღში.

### 13. *X. violacea* L.

ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე.



14. *Tetralonia* sp.

ურაველი, 4.VI, სათიბ-სავარგულზე. ახალციხე, 8.VI, არალი, (1120 მ. ზ. დ.), 10.VI; გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

15. *Eucera* sp.

ახალციხე, 2.VI, სათიბ-სავარგულზე. ურაველი, 6.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. გოდერძის გადასასვლელი 26.VI.

16. *Apis mellifera* L.

მინაძე, 1—2.VI, მდ. მტკვრის სანაპირო, ჭალა. ურაველი, 4—5—6.VI, ხეხილის ბაღში. ახალციხე, 8—10—12.VI, მდ. ფოცხოვის სანაპირო, ფერდობი. თმოგვი, 13.VI, წუნდის ტბის მიდამოები. ასპინძა, 14.VI, გზის პირი. აწყური, 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. აბასთუმანი, 19—20.VI, მდინარის სანაპირო. გოდერძის გადასასვლელი, ფერდობი, 26.VI, ბაღბო, 10.VII, წიწვოვან კორომში. მერენია, 18.VII, წიწვოვან კორომში.

17. *Anthophora acervorum* L.

ურაველი, 6.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ახალციხე, 8.VI, მდ. ფოცხოვის სანაპირო, ფერდობი.

18. *A. aestivalis* Fanz.

ურაველი, 6.VI, წიწვოვან კორომში.

19. *Anthophora* sp.

ურაველი, 4.VI, სათიბ-სავარგულზე. ახალციხე, 8.VI, მდ. ფოცხოვის სანაპირო, ფერდობი. აწყური, 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. აღიგენი, 27.VI, სათიბ-სავარგულზე.

20. *Bombus argillaceus* Scop.

მინაძე, 1—2.VI, ხეხილის ბაღში. ურაველი, 4—5—6.VI, სათიბ-სავარგულზე. ახალციხე, 8—11.VI, ხეხილის ბაღში. არალი, 10.VI, სათიბ-სავარგულზე. ვარძია, 13.VI, ნიგოეთი, 13.VI, აწყური, 17.VI, ხეხილის ბაღში. ასპინძა, 14.VI, სათიბ-სავარგულზე. აბასთუმანი, ბოგდანოვკა 15.VII, სათიბ-სავარგულზე, 19.VI, წიწვოვან კორომში. ახალქალაქი, 7.VII, სათიბ-სავარგულზე. მინაძე, 25.VII, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

21. *B. daghestanicus* Rad.

ურაველი, 6.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ახალციხე, 8.VI, არალი, 10.VI, გორაკ-ბორცვიანი ველი. ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე, ასპინძა, 14—15.VI, 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ველი. ზეკარის გადასასვლელი 21.VI. აბასთუმანი 20.VII, აღიგენი, 25—27.VI, სათიბ-სავარგულზე. ახალქალაქი, 3—7.VII, წიწ-



ვოვან კორომში, ბალხო, 9—11.VI, ხანდო, 14.II, სათიბ-სავარგულზე. მერენია 18.VII, მინაძე, 25.VII. ურაველი, 26.VII, სათიბ-სავარგულზე.

22. *B. (Adventoribombus) mlokosiewitzi* Rad.

ზეკარის გადასასვლელი, 21.VI.

23. *B. apollineus* Skor.

ურაველი, 6.VI, სათიბ-სავარგულზე. ბოგდანოვკა 5.VII. ფარავნის ტბის მიდამოები, ახალქალაქი, 7.VII, მდ. ფარავნის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე. არალი, 10.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ბალხო, 10.VII, სათიბ-სავარგულზე. ნიგოეთი, 13.VII, სულდა, 16.VII, მდელოზე. მერენია, 20—21.VII, სათიბ-სავარგულზე.

24. *B. (Alpigenobombus) alpigenus* F. Mor.

ახალქალაქი, 3.VII, მდ. ფარავნის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე. ბალხო, 9.VII, მერენია, 9.VII, წიწვოვან კორომში.

25. *B. (Lapidariobombus) eriophorus* Klug.

აწყური, 17.VI, წიწვოვან კორომში. ზეკარის გადასასვლელი, 21.VI, გოდერძის გადასასვლელი, 26.VI.

26. *B. incertus* F. Mor.

ბოგდახოვკა, 5. VII, ფარავნის ტბის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე.

27. *B. soroënsis* F.

ურაველი, 4—5—6.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ლელოვანი, 10.VI, ტბის მიდამოები, ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე. აბასთუმანი, 19—20.VI, წიწვოვან კორომში. ზეკარის გადასასვლელი. 21.VI. გოდერძის გადასასვლელი, 26.VI, წიწვოვანი ტყის პირი. ადიგენი, 27.VI, სათიბ-სავარგულზე. ბალხო, 9—10—11.VII, წიწვოვან კორომში.

28. *B. lucorum* L.

ზეკარის გადასასვლელი, 21.VI, ბალხო, 9.VII, წიწვოვან კორომში. მერენია, 18.VIII, სათიბ-სავარგულზე.

29. *B. (Hortobombus) hortorum* L.

მერენია, 20.VII, წიწვოვან კორომში ზეკარის გადასასვლელი, 21.VI, გოდერძის გადასასვლელი, 26.VI.

30. *B. (Pratobombus) haematurus* Kriechb.

ურაველი, 4—6.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

31. *B. tristis insipidus* Rad.

მინაძე, 2.VI, ასპინძა, 14—15.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი, ადიგენი, 27.VI, სათიბ-სავარგულზე; ბალხო, 9.VII, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

32. *B. rehbinderi* Vogt.

აწყური, 17.VI, წიწვოვან კორომში. აბასთუმანი, 19.VI, ზეკარის გადასასვლელი, გზის ნაპირი 27.VI, ტყის ნაპირი. ურაველი, 4.VI, წიწვოვან კორომში. გოდერძის გადასასვლელი გზისპირი, 26.VI, წიწვოვანი ტყის ნაპირი. ბალხო, 9.VII.

33. *B. (Pomobombus) alboluteus* Pall.

გოდერძის გადასასვლელი (2025 მ ზ. დ.), 26.VI, მდელოზე. ახალქალაქი, 3.VII, მდ. ფარავნის ნაპირი. ბალხო, 9.VII, წიწვოვან კორომში. ზეკარის გადასასვლელი 21.VI.

34. *B. portschinskii* Rad.

ახალქალაქი, 3.7.VII, მდ. ფარავნის ნაპირი.

35. *B. (Pomobombus) albopauperatus oreas* Skor.

ადიგენი, 27.VI, წიწვოვან კორომში.

36. *B. (Pomobombus) armeniacus* Rad.

ზეკარის გადასასვლელი, 21.VI.

37. *B. (Subterraneobombus) subterraneus latreillellus* Rby.

ნიგეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე.

38. *B. (Adventoribombus) simulatilis* Rad.

ზეკარის გადასასვლელი, 21.VI, მდელოზე.

39. *B. (Adventoribombus) velox* Skor.

ბოგდანოვკა, 5.VII, ფარავნის ტბის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე.

40. *Psithyrus rupestris* F.

ახალქალაქი, 7.VII, მდ. ფარავნის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე. აწყური, 17.VI, ხეხილის ბაღში.

41. *P. (Metapsithyrus) campestris* Panz.

აწყური, 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ადიგენი, 27.VI, სათიბ-სავარგულზე.

42. *P. maxillosus* Klug.

მინაძე, 2.VI ხეხილის ბაღში. არალი, 10.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ნიგოეთი, 13.VI, სათიბ-სავარგულზე. აწყური 17.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ახალციხე, 8.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

43. *P. (Fernaldaepsithyrus)* sp.

ბაღზო, 10.VII, წიწვოვან კორომში.

44. *P. (Allopsithyrus)* sp.

ახალქალაქი, 3.VII, მღ. ფარავნის ნაპირი, სათიბ-სავარგულზე.

45. *Psithyrus* sp.

ურაველი, 5.VI, ხეხილის ბაღში. ბაღზო, 9—11, VII, წიწვოვან კორომში.

46. *Nomada* sp.

ურაველი, 6.VI, ახალციხე, 8.VI, ასპინძა, 15.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

47. *Osmia* sp.

ახალციხე, 2.VI, მღ. ფოცხოვის სანაპირო. ურაველი, 4.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი. ბაღზო, 10.VI, წიწვოვან კორომში, ურაველი, 26.VII, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

48. *Megachile circumcincta* Rby.

ურაველი, 5.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი, ადიგენი, 25.VI, სათიბ-სავარგულზე. გოდერძის გადასასვლელი, 26.VI, მღელოზე.

49. *Megachile* sp.

ასპინძა, 14.VI, გორაკ-ბორცვიანი ფერდობი.

50. *Chalicodoma muraria* F.

ურაველი, 5.VI, აბასთუმანი, 19.VI, წიწვოვან კორომში.

51. *Anthidium manicatum* L.

თმოგვი, 13, VI, წუნდის ტბის მიდამოები.

ამგვარად, ჩვენ მიერ მესხეთ-ჯავახეთში რეგისტრირებულია ფუტკრისნაირთა 51 სახეობა, რომლებიც გავრთიანებულნი არიან 18 გვარში. მოპოვებული ფუტკრისნაირთა ყველა სახეობა ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული მესხეთ-ჯავახეთისათვის.

რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი სახეობებია:

*Halictus sexcinctus*, *Halictus* sp., *Andrena* sp., *Xylocopa valga*, *Tetralonia* sp., *Eucera* sp., *Apis mellifera*, *Anthophora acervorum*, *Anthophora* sp., *Bombus argillaceus*, *B. daghestanicus*, *B. apollineus*, *B. soroënsis*, *B. rehbin-deri*, *B. (pomobombus) alboluteus*, *Psithyrus maxillosus*, *Osmia* sp.

რაოდენობრივად მცირერიცხოვანი სახეობებია:

*Prosopis* sp., *Sphecodes* sp., *Melitturga clavicornis*, *Xylocopa violacea*, *Anthophora aestivalis*, *B. (Lapidariobombus) eriophorus*, *B. lucorum*, *B. (Hor-*

*tobombus) hortorum, B. tristis insipidus, B. portschinskii, B. (Pomobombus) albopauperatus oreas, Psithyrus rupestris, P. (Fernaldaepsithyrus) sp., P. (Allopsithyrus) sp., Psithyrus sp., Nomada sp., Megachile circumcincta, Chalicodoma muraria.*

ერთეული ეგზემპლარებით აღინიშნებოდა:

*Halictus major, H. xanthopus, Andrena carinata, A. allofasciata, Ceratina callosa, B. (Adventoribombus) mlokosiewitzi, B. (Alpigenobombus) alpigenus, B. incertus, B. (Pratobombus) haematurus, B. (Pomobombus) armeniacus, B. (Subterraneobombus) subterraneus latreillellus, B. (Adventoribombus) simulatilis, B. (Adventoribombus) velox, Psithyrus (Metapsithyrus) campestris, Megachile sp., Anthidium manicatum.*

ჩვენი მოპოვებული სახეობებით არ ამოიწურება მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული ფუტკრისნაირთა სახეობრივი შედგენილობა. საჭიროა ამ სიმართლებით მუშაობის გაგრძელება.

ყველა ზემოთ აღნიშნული სახეობა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილების ფონდებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

(რედაქციის მოუვიდა 14.10.1966)

ЭНТОМОЛОГИЯ

И. А. СХИРТЛАДЗЕ

## МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ФАУНЫ ПЧЕЛИНЫХ (APIDAE), РАСПРОСТРАНЕННЫХ В МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТИИ

Резюме

В 1964 г. в июне и июле зоологический отдел Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа организовал экспедицию для изучения фауны Малого Кавказа, в частности Месхет-Джавахетии.

С целью установления видового состава пчелиных и распространения отдельных видов была обследована почти вся территория Месхет-Джавахетии. При этом был зарегистрирован 51 вид пчелиных, которые входят в 18 родов.

Все приведенные в работе виды впервые указываются для Месхет-Джавахетии.

Особенно многочисленными оказались 17 видов, незначительным количеством отличались 18 видов, единичными экземплярами встречались 16 видов.

Весь обработанный нами материал хранится в фондах зоологического отдела Гос. музея Грузии.

დაგროვებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ი. მუხლაძე. მთის რუხი ქართული ფუტკრის შესწავლის შედეგები გურიის მთიან ზონაში, საღისერტაციო შრომა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1964.
2. ს. ელენტი. ფუტკრის მოვლა-მოშენება. თბილისი, 1951.
3. К. А. Горбачев. Кавказская пчела и место ее среди других пчел. Тифлис, 1916.



6. შიშკაშვილი

ელასტიური ბოჭკოები სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დაავადებებსა და კიბოში

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ჯავახიშვილმა 13.8.1966)

ელასტიური ბოჭკოების ირგვლივ ლიტერატურაში მრავალი ცნობა მოიპოვება, თუმცა მისი რაობის საკითხი საუღლისოდ ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ჩვენ მიზანს შეადგენდა სარძევე ჯირკვლის დისპორმონულ ჰიპერპლაზიებსა და კიბოში შეგვესწავლა ელასტიური ბოჭკოების მდგომარეობა და მათი ცვლილებები სარძევე ჯირკვალში აღმოცენებულ სტრუქტურულ ძვრებთან დაკავშირებით. სულ შესწავლილია სარძევე ჯირკვლიდან აღებული 50 პოსტოპერაციული შექმხვევა (12 მასტოპათია, 14 ფიბროადენომა, 24 კიბო). კონტროლის მიზნით შეისწავლებოდა აგრეთვე სიმსივნური კვანძიდან დაცილებული „სალი“ სარძევე ჯირკვლის ქსოვილი.

ნაჭრები ფიქსირდებოდა ა. შაბადაშის ნეიტრალურ საფიქსაციო ნარევეში, ყალიბდებოდა პარაფინში, ხოლო ანათლები (სისქით არა უმეტეს 5 მიკრონისა), იკვრებოდა ცხიმგაცილლ სასაგნე მინებზე.

ელასტიურ ბოჭკოებს ვავლენდით ვეიგერტის რეზორცინ-ფუქსინით და ორსეინით უნა-ტენცერის წესით. გარდა აღნიშნულისა, მივმართავდით შეღებვას ჰემატოქსილინით და ეოზინით (აგრეთვე პიკროფუქსინით — ვან-გიზონის წესით). ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ „ნორმალურ“ სარძევე ჯირკვლის ქსოვილში ელასტიკა კარკასისმაგვარად გარს არტყია სარძევე სავალეებს დაკლაკნილი, ხშირად ერთიმეორეში გადახლართული, ზოგან ნაზი, ზოგან არათანაბრადგატლანქებული ბოჭკოების სახით. იგი მცირე რაოდენობით არის ნახული აგრეთვე სტრომაშიც.

სარძევე ჯირკვლის მასტოპათიურ კვანძებში ელასტიური კარკასი აქვს მხოლოდ ზოგიერთ ჯირკვლოვან წარმოქმნას და წარმოდგენილია პარალელურად გახლავებული, დაკლაკნილი, ხშირად წყვეტილი ძაფებისა და ბოჭკოების სახით. ელასტიურ ბოჭკოთა ნაგლეჯები მოჩანს აგრეთვე ელასტიური კარკასის მქონე ჯირკვლოვან წარმოქმნათა ირგვლივ არსებულ სტრომაშიც. შერჩენილ ჯირკვალთაგან განსხვავებით, მასტოპათიურ კვანძებში მყოფი ახლადშექმნილი სარძევე სავალეები და ცისტური წარმოქმნები ელასტიურ კარკასს მოკლებულია. იგი არ მოიძებნება ასეთი ჯირკვლების ირგვლივ არსებულ სტრომაშიც.

აქედან გამომდინარე, ელასტიური კარკასის არსებობა ან არარსებობა ჯირკვლოვან წარმოქმნათა ირგვლივ სარძევე ჯირკვლის მასტოპათიურ კვანძებში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც არსებული ჯირკვლების ახლადშექმნილისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი.

ფიბროადენომულ კვანძებში არსებული ჭირკვლოვანი სტრუქტურები ელასტიურ კარკასს მოკლებულია. ელასტიური ბოჭკოები არ აღინიშნება აგრეთვე წილაკსშიდა სტრომაში და ინტრაკანალიკულური ფიბროადენომების მოზარდ, შემუშავებულ სტრომაში. ელასტიური ბოჭკოები, ხშირად დაწყვეტილი და ნაგლეჯების სახით წარმოდგენილი, აღინიშნება მხოლოდ ზოგიერთი ადენომური კვანძის ირგვლივ.

ჩვენს მასალაზე სარძევე ჭირკვლის კიბოებში ელასტიკა ან სრულიად არ აღინიშნება, ან მოიძებნება სტრომაში და ისიც უფრო ხშირად ქაოტიურად განლაგებული ძაფებისა და ბოჭკოების სახით, რომელთა მეტი წილი დაწყვეტილია. საინტერესოა, რომ ელასტიკის რაოდენობა ჩვენ მიერ შესწავლილ კიბოებში მით უფრო მეტია, რაც უფრო მეტადაა განვითარებული სტრომა და რაც უფრო მწიფე, ტლანჭი და ჰიალინიზირებული ბოჭკოებითაა ავი წარმოდგენილი.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სარძევე ჭირკვლის კიბოსწინარე დაავადებებში არსებული ელასტიკა არსებითად შერჩენილია, ე. ი. ის ბოჭკოები ან მათი ნაგლეჯებია, რომლებიც არსებობდა სარძევე სავალეების კედლებში თუ მათ ირგვლივ არსებულ სტრომაში. ელასტიკა ჭირკვლოვან წარმოქმნათა კედლებში მანამდე არსებობს, სანამ მოპროლიფერირე ეპითელი მთლიანად არ დაარღვევს ჭირკვლის კედელს (საკუთარი გარსის დაშლა). ახლადწარმოქმნილი, საკუთრივ სიმისივნიური, მალიგნიზაციის ამა თუ იმ სტადიაზე მყოფი ჭირკვლოვანი სტრუქტურები ელასტიურ კარკასს მოკლებულია. რაც შეეხება სარძევე ჭირკვლის კიბოს, მასში არსებული ელასტიკა ვფიქრობთ, რომ წარმოქმნილი უნდა იყოს კოლაგენისაგან, მისი ელასტოიდური გარდაქმნის საფუძველზე.

ჩვენს მიერ მოყვანილი მონაცემები სარძევე ჭირკვლის დისპორმოზულ ჰიპერპლაზიებსა (მასტოპათია, ფიბროადენომა) და კიბოში ელასტიური ბოჭკოების არსებობის, განაწილებისა და სტრუქტურული თავისებურებების შესახებ, ძირითადად შეესაბამება მ. ავერბახის [1] მონაცემებს იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული მკვლევარი საერთოდ უარყოფს სარძევე ჭირკვლის კიბოში ახლადწარმოქმნილი ელასტიკის არსებობას. ამ მხრივ ჩვენ ვეთანხმებით ა. ლასკინას [2], რომლის აზრითაც სარძევე ჭირკვლის კიბოში ელასტიკის არსებობა შესაძლოა წარმოადგენდეს კოლაგენის ელასტოიდური გარდაქმნის შედეგს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სარძევე ჭირკვალში ჰარბობს კიბოს ისეთი ფორმები, რომლებშიც ინტენსიურად მიმდინარეობს კოლაგენური ბოჭკოების შექმნა, მაგრამ დარღვეულია კოლაგენოგენეზის პროცესი, რასაც თან სდევს მათი ჰიალინიზაცია, ურთიერთშეწყობება და, ალბათ, ცალკეულ უბნებში ელასტოიდური გარდაქმნაც.

სარძევე ჭირკვლის ფიბროადენომებში ელასტიკის არარსებობაზე ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდნენ მკვლევარები; უფრო მოგვიანებით კი—მ. გლაზუნოვი [3], მ. ავერბახი [1] და ზოგიერთი სხვა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გ. ვალიაშკო [4], რომელიც ფიბროადენომებში ნახულობდა რა ელასტიურ ქსოვილს, მას ახლადშექმნილად მიიჩნევდა.

საერთოდ, კიბოში ელასტიკის არსებობის შესახებ საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ ლიტერატურულ წყაროებზე, რომლებშიც განხილულია სარძევე ჭირკვლის კიბოში ელასტიკის არსებობის საკითხი. მკვლევართა ერთი ჯგუფი მიუთითებს, რომ სარძევე ჭირკვლის კიბოს ქსოვილი შეიცავს ელასტიკის დიდ რაოდენობას, მეორე ჯგუფი საერთოდ უარყოფს სარძევე ჭირკვლის კიბოში ელასტიკის აღმოცენების შესაძლებლობას, ხოლო არსებული ელასტიკის ნაგლეჯებს მიიჩნევს როგორც შერჩენილს იმ ქსოვილისაგან, რომელშიც აღმოცენდა და განვითარდა სიმსივნე.

ჩვენი მონაცემების ანალოგიურად ზოგიერთი მკვლევარი [5] სარძევე ჭირკვლის კიბოში ელასტიკას ნახულობს მით უფრო მეტი რაოდენობით, რაც უფრო მეტადაა განვითარებული სტრომა. კერძოდ, ვოლფი [4] სარძევე ჭირკვლის ტვინოვან კიბოში ელასტიკას საერთოდ ვერ ნახულობდა.

დასკვნები

1. სარძევე ჭირკვლის დისპორმოზულ ჰიპერპლაზიებსა და კიბოში ელასტიური ბოჭკოები არ წარმოადგენენ სარძევე ჭირკვლის სიმსივნეების აუცილებელ და, აქედან გამომდინარე, დამახასიათებელ შემადგენელ ნაწილს.
2. სარძევე ჭირკვლის კიბოსწინარე დაავადებებში არსებული ელასტიკა ძირითადად შერჩენილია, წინადასებული ქსოვილის შემადგენელი ნაწილია, ხოლო სარძევე ჭირკვლის კიბოს შემთხვევებში იგი ვითარდება კოლაგენური ბოჭკოების თავისებური, ე. წ. ელასტიდური გარდაქმნის შედეგად.
3. სარძევე ჭირკვლის კიბოსწინარე დაავადებებსა და კიბოში ელასტიური ბოჭკოების რაოდენობა და განაწილება ზედმიწევნით სხვადასხვაგვარია და ეს დამოკიდებულია სიმსივნის სახესა და ფორმაზე, ატიპურობის ხარისხზე და ზრდის სისწრაფეზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აღ. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციის მოუვიდა 13.8.1966)

АНАТОМИЯ

Н. И. ШИУКАШВИЛИ

ЭЛАСТИЧЕСКИЕ ВОЛОКНА В ПРЕДРАКОВЫХ  
РАЗРАСТАНИЯХ И РАКЕ МОЛОЧНОЙ ЖЕЛЕЗЫ

Резюме

Цель настоящей работы — проследить в предраковых разрастаниях молочной железы (мастопатические и фиброаденоматозные узлы) и в раковых опухолях этого же органа состояние и распределение эластических волокон и их изменения при опухолевом росте.

Материалом для исследований послужили 50 оперативно удаленных молочных желез женщин: по поводу фиброзно-кистозной мастопатии — 12 случаев, фиброаденом — 14 и рака различной гистологической структуры — 24.

Результаты собственных исследований показали, что в «здоровой» ткани молочной железы эластические волокна циркулярными пучками окружают молочные протоки и в основном представлены нежными волокнами; местами эти волокна неравномерно утолщены и спаяны меж-



ду собой. В ряде случаев в строме, вблизи от парехимы, найдены единичные, неравномерно утолщенные, разной длины и направления волокна.

В мастопатических узлах молочной железы эластический каркас обнаруживается только вокруг предсуществовавших железистых образований (протоков, кист). Он представлен параллельно расположенными зигзагообразными нитями и волокнами эластики, которые часто разорваны на глыбки и комки. Глыбки эластических волокон видны также в строме, между теми железистыми образованиями, которые окружены эластическим каркасом. В отличие от предсуществовавших желез, эластика вовсе отсутствует как вокруг новообразованных протоков и кист, так и в окружающей их строме. Лишь изредка в строме вокруг новообразованных железистых структур удается наблюдать единичные эластические нити.

Исходя из этого, наличие или отсутствие эластического каркаса вокруг железистых образований в мастопатических узлах молочной железы может служить одним из критериев, дающих возможность отличить предсуществовавшие железы от новообразованных.

Железистые структуры фибroadеноматозных узлов лишены эластического каркаса. Эластические волокна отсутствуют также и во внутридольковой строме периканаликулярных фибroadеном и в растущей, рыхлой строме интраканаликулярных фибroadеном. В виде обломков они отмечаются лишь вокруг некоторых аденоматозных узлов (междольковая строма) в гиалинизированной волокнистой ткани.

Анализ собственного материала показал, что в раковых опухолях молочной железы эластической ткани или вообще нет, или она обнаруживается в строме в виде хаотично расположенных нитей и волокон, большая часть которых разорвана. Интересно указать, что количество эластики в изученных нами случаях рака тем больше, чем сильнее развита строма и чем больше она представлена гиалинизированными волокнами.

На основе всего изложенного выше можно заключить, что эластика, обнаруженная в предраковых разрастаниях молочной железы, фактически представляет собой предсуществовавшую эластическую ткань, т. е. она представлена теми волокнами и их обломками, которые имелись в стенках молочных протоков и в окружающей их строме. В раковых же опухолях молочной железы эластические волокна возникают путем эластидного превращения коллагеновых волокон.

#### დავოწმებულ ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. М. Авербах. Патология дисгормональных заболеваний и рака молочной железы. М., 1958.
2. А. В. Ласкина. Морфогенез дисгормональных гиперплазий и рака молочных желез. Автореферат, М., 1964.
3. М. Ф. Глазунов. Фибroadенома грудной железы и ее место в системе новообразовательных процессов. Архив патологической анатомии и патологической физиологии, 4, 2, 1938, 64.
4. Г. А. Валяшко. Об упругой ткани в новообразованиях. Дисс., Петербург, 1906.
5. Н. В. Копылов. Эластическая ткань в злокачественных новообразованиях. Русский хирургический архив, 14,1, 1908.



Т. Л. НАНЕЙШВИЛИ

## ИЗМЕНЕНИЕ ЭЛЕКТРИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ В ЛИМБИЧЕСКИХ СТРУКТУРАХ КОШКИ ПРИ ЭМОЦИОНАЛЬНЫХ РЕАКЦИЯХ

(Представлено академиком И. С. Бериташвили 24. 9. 1966)

В последнее время интенсивно изучаются нейрофизиологические основы эмоционального поведения высших позвоночных животных. По мнению И. С. Бериташвили [1], древние переднемозговые образования играют существенную роль в возникновении субъективных переживаний чувства голода, сытости, страха, ярости, удовольствия и их внешних выражений посредством интеграции деятельности соматовегетативных центров гипоталамуса.

В литературе существуют данные, указывающие на то, что при эмоциональном возбуждении животного, наряду с наступлением десинхронизации фоновой электрической активности в структурах новой коры, от некоторых лимбических образований отводится электрическая активность в виде всплеск сравнительно высокочастотных волн [2—5]. Значение взрывной активности лимбических структур в поведении животных недостаточно ясно и требует дальнейшего исследования. Поэтому перед нами была поставлена задача изучить изменение фоновой электрической активности базолатеральной части миндалевидного комплекса и грушевидной коры при разных эмоциональных реакциях.

### Методика

Опыты ставились на взрослых кошках. Под нембуталовым наркозом хронические электроды вживлялись с помощью стереотаксического прибора. Координаты брались по атласу Сентаготаи [6]. Для вживления употреблялись константановые электроды. Диаметр изолированного кончика равнялся 100 — 150 мк. На черепе электроды фиксировались раствором стиракрила. Наружные концы электродов припаивались к специальным разъемам, что обеспечивало прочность контактов. Кабель от разъемов до предварительных усилителей четырехканального чернилопишущего электроэнцефалографа состоял из восьми изолированных многожильных проводов. Каждый многожильный провод с полиэтиленовой изоляцией всаживался в металлический чехол. Использование такого кабеля давало возможность одновременно при электрической стимуляции регистрировать электрическую активность мозговых структур. Раздражение интересующих нас структур производилось прямоугольными стимулами.

### Полученные результаты

Изучалось изменение фоновой электрической активности разных структур мозга кошки в связи с общими поведенческими реакциями. Электрическая активность регистрировалась от базолатеральной части миндалевидного комплекса, грушевидной коры, вентральной части гиппокампа, слухового и сенсомоторного анализаторов новой коры. При исследовании было замечено, что во время эмоционального возбуждения животного (настороженность, беспокойство или страх) в базолатеральной части миндалевидного комплекса и в грушевидной коре возникает взрывная активность в виде высокочастотных (35—40 в 1 сек) синусоидальных волн (рис. 1, Б). Эти волны возникают группами, и каждая группа имеет веретенообразную форму, что определяется первоначальным нарастанием и последующим постепенным снижением амплитуды медленных волн. В том случае, если бодрствующая кошка сидит спокойно, от вентральной части гиппокампа отводится т. н. тета-активность (4—7 в 1 сек), а взрывная активность в вышеуказанных структурах прекращается (на рис. 1, А и всех последующих рисунках).

შატბერდულ კრებულში „მოქცევაჲ ქართლისაჲს ტექსტი 463-ე გვერდზე (თავში, რომლის სათაურიცაა: „მოწვევნაჲ წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღწერილ მისივე, სალომე უყარმელისაჲ“) არ არის ბუნებრივი გაგრძელება 462-ე გვერდის ტექსტისა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტს ამ ადგილას უნდა აკლდეს ([8], გვ. 755; [9], 99; [6], გვ. 121).

ასეა, რომ შატბერდულ კრებულში „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი რომელიღაც ნაკლები ნუსხიდან მოდის<sup>3</sup>. აღნიშნული ნაკლები ნუსხა ჩანს ჰე-

<sup>1</sup> მეტაფრასული რედაქციიდან ადგილები დამოწმებული გვაქვს A—707, Q—762 და A—518 ხელნაწერების მიხედვით ჩვენს მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტიდან.

<sup>2</sup> მეტაფრასტი არ იყენებს კელიშურ ნუსხას, რადგან ის თავისებურებები, რომლებიც ამ უკანასკნელს აქვს შატბერდულისაგან განსხვავებით, არცერთი არ ჩანს მეტაფრასულ რედაქციაში.

<sup>3</sup> ეჭვითვე თაყაიშვილის აზრით, თვითონ შატბერდულ კრებულს აკლია ამ ადგილას ერთი ფურცელი. სინამდვილეში ხელნაწერის შემადგენელი რეგულუმის შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ შატბერდის კრებული ამ ადგილას ნაკლები არაა.

ლიშური რედაქციის დედანიც, რადგან ამ ადგალას ქელიშური ნუსხაც ასევე ნაკლულია. ლეონტი მროველთან კი შესატყვის ადგილას კარგა მოზრდილი ტექსტია ჩართული ([7], გვ. 91—92), როგორც ჩანს, ლეონტის „ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და სხვა წყაროს საშუალებით დანაკლისი თითქოს კიდევაც შეუსვია“ ([9], გვ. 99).

მეტაფრასული რედაქციის ავტორს მროველისეული რედაქცია რომ გამოეყენებინა, მისი კვალი, სხვაგან თუ არა, ამ ადგილას მაინც გამოჩნდებოდა. მეტაფრასული რედაქცია «მოქცევაჲ ქართლისაჲს» ამ გაბუნდოვნებულ ადგილს ამოკლებს და ორიოდე წინადადებით გადმოსცემს.

მროველისეულ და მეტაფრასულ რედაქციებში, „მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲს“ გასხვავებით, ერთნაირად ვრცლადაა წარმოდგენილი ნანა დედოფლის გაქრისტიანების ამბავი. „მოქცევის“ როგორც შატბერდულ, ისე ქელიშურ რედაქციაში ეს ფაქტი სულ ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული:

შატბერდული:

„დედოფლისა ნანაჲს ზედა აჩუენა ღმერთმან პირველად ძალი მისი მის მიერ, მაყულოვანსა მას შინა განკურნა ლოცვითა მისითა სენისა მისგან მძიმისა რომლისა ჳელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი“ ([6], 131, 9—15)

ქელიშური:

„...დედოფალსა ზედა ნანას და აჩუენა ღმერთმან ძალი მისი მის მიერ, მაყულოვანსა მას შინა ლოცვითა მისითა, განკურნა სენისა მისგან მძიმისა, რომელი ჳელოვნებამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისსა“.

„მართალია, მროველიცა და მეტაფრასტიც ამ ეპიზოდს ერთნაირად ვრცლად მოგვითხრობენ, მაგრამ ამბის არც ერთი მონაკვეთით, არც ერთი ფრაზითა და სიტყვით ისინი ერთმანეთს არ ხედებიან:

მროველი:

„მაშინ დედოფალი ნანა შეეარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერაიენ შეუძლო, რამეთუ ყოველთა ჳელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წაშალნი მათნი და ვერ შეუძლეს კურნება მისი, უღონო იქმნეს და სასოწარკვეთილ. ხოლო აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვითარმედ:

„დედაკაცისა მის პრომისა ტყვსა მიერ, რომელსა ჰქვან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სნეულნი განიკურნებინა“. მაშინ უბრძანა მსახურთა თვსთა, რათა მოიყვანონ ნინო.

მივიდეს მსახურნი დედოფლისანი და პოვეს წმიდა ნინო ქოჩსა მას ჳუეშე მაყულისასა, ილოცვიდა ეამსა მექუესესა, და მიუთხრეს ბრძანებდა დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო რჳუა: „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შეება ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა, და ჳეშმარიტად განიკურნოს ძალითა ჳრისტესითა“. ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თჳმული

მეტაფრასი:

მიერთგან მრავალთა მიერ განსაკურებელი იქმნა ღირსი იგი ვიდრედა არცალათუ მეუღლისაგან მეფისა საქმე ესე დადარულ იქმნა, და ვინაიითგან იგიცა ესევითარითავე ბოროტითა სენითა შეპურობილ იყო, მეყსეულად მიავლინა მისა ეედრებით, რამათა მივიდეს მისა.

ხოლო ღირსმან მან ფრიაღისა მის მდაბლისა გონებისა მისისაგან სამეუფოჲ იგი ვედრებაჲ არა მიითულა. ხოლო სენთა მიერ ფიცხელთა იძულებულმან ცოლმან მეფისამან განაგლო ჳუაობითი იგი მეფობისა პატივი და თავით თვსით უცხოჲსა მის და მდაბლისა მიისწრაფა და ითხოვდა კურნებასა.

ხოლო ღირსმან მან ნეტარებისამან იგიცა თვსსა ნას უნდოსა ცხედარსა მიაწეინა და წამლად განსაკურნებელად ენებისა მისისა იქუმილოცვაჲ. და ღმერთმან, რომელი შეისმენს ვედრებასა მოშიშთა მისთასა, მიანიჭა მსწრაფლთხოვად მისი და ყოვლითურთ განკურნებულ წარავლინა სახილ თვსა.

ეტი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყობდა მათ: „შემიმზადეთ მე ცხედარი და მიმეყვანეთ მისსა“. მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი რეე, და სიმრავლე ერისა მის თანა.

„ვითარ მივიდეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსისა, და დადევს დედოფალი კლიქსა მისსა ზედა, იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ მყოვარ ეამ, და მოილო ჭუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა, ფერთა და მკართა ჭუარის სახედ, და მესყუელად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული. და პრწმენა ქრისტეს, და თქუა: არა არს სხუა ღმერთი, თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი“. და მიერთგან შეიქმნა იგი მეგობრად თჳსად შინაურად, და მარადის ჰკითხავნ და გამოიწულიავენ სჯულსა ქრისტესა, და ასწავებნ წმიდა ნინო და აბითარ, ახალი პაულე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჰემმარტიო.

„და ჰკითხვიდა დედოფალსა მეფე, ვითარ-იგი მესყუელად განიკურნა. და უთხრობდა დედოფალი ყოველსა მას, რომელი იქმნა მის ზედა, ვითარ-იგი თჳნიერ წამლისა, ლოცვითა და შეხებითა ჭუარისათა განიკურნა. და სიმრავლე იგი ერთა, რომელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტყუასა მას დედოფლისასა“.

[7]. 104,7—105,11).

მოყვანილი ტექსტების შედარებიდან ჩახს არა მარტო ის, რომ პროველის ტექსტი არ უნდა იყოს წყარო მეტაფრასულისათვის, არამედ ისიც, რომ მათ საერთოდ ერთი წყაროთიც არ უსარგებლიათ. ჩვენ არ ვიცით, რა გამოიყენა წყაროდ თავისი შრომის ამ ნაწილისათვის პროველმა, მეტაფრასის წყაროდ კი, როგორც უკვე გამოჩვენებულია, ჩანს ეფრემ მცირის შრომა „უწყებამ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“, სადაც ნანა დედოფლის გაქრისტიანების ამბავი თეოდორიტეს „საეკლესიო ისტორიიდანაა“ შეტანილი ([10], გვ. 015—016).

მეტაფრასული რედაქციის ავტორს პროველისეული „ნინოს ცხოვრება“ რომ ჰქონოდა ხელთ, როგორც თავისი შრომის წყარო, ნანა დედოფლის მოქცევის ამბავს, ცხადია, სხვა წყაროში აღარ დაუწყებდა ძებნას.

პროველისეული და მეტაფრასული ნინოს „ცხოვრებების“ ურთიერთმიმართების საკითხი საგანგებოდ არავის უკვლევია. ჩვენი აზრით, პირველს მეო-

ბოლო დედოფალმან სასყიდლად კურნებისა შოართუა მას, რომელი-იგი მას ღირსად პატრიისა შეერაცხა: ოქროს და ვეცხლი, საბოთელი და სამკაული და სხვა, რაოდენი შეეტყუების ძლუნესა და მისაცემელსა სამეფოსა. ხოლო ღირსმან მან ამითი მიღებამ ყოვლად არა თავსიდგა, არამედ ჰრქუა, ვითარმედ ჩემდა დიდად მისათუალველ არს, უკუეთუ იცნათ ღმრთისმსახურებამ. და შემოიხუნა შორის საღმრთონი სწავლანი, ვითარნი ჯერ-იყვნეს, და მიუთხრნა ცხოვრებად ჩუენად მოსარულისა ღმრთისა და მაცხოვრისა ქრისტეს განკაცებისა ყოველი განგებულებამ, კუალად ჭუარცუმა და აღდგომამ და ზეცად ამალეებამ. და დაუმტკიცებდა, ვითარმედ, ჰემმარტიად იგი არს ღმერთი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და ზღუათა, და ყოველი რამ არს მათ შინა. და კუალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა და ევედრებოდა, რაათა პრწმენეს იგი ყოვლითა გულთა და რაათა აღაშენონ ეკლესია სახელსა ზედა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.

ესმა რამ ესე ყოველი დედოფალსა, ლმობიერქმნილი და განკურვებული სასწაულსა მას დიდებულსა და ტკბილთა სწავლათა მიერ ნეტარისა ნინოსსთა განათლებული, სახიდ თჳსად მიიქცა.

და აუწყა მეუღლესა თჳსსა მოსწრაფებამ იგი კურნებისა და ძალი ღმრთისა მის, რომელსა ქადაგებს უხოა იგი, და ყოველი რომელი ესმინა მისგან. და ევედრებოდა, რაათა იგი მხოლოე უწყოდის ღმრთად ჰემმარტიად. ხოლო მეფემან მიზიან აქო მეუღლესა თჳსსა ზედაქმნილი იგი საყრველებამ, დაუჯრდა ფრიად, ხოლო ტაძრისა შენებამ არა ინება“.

რის წყაროდ იმის გამო ასახელებენ, რომ მეტაფრასში მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრების“ წიგნი „ჰამბავი მეფეთაჲ“.

ერთგან, სპარსელთა მიერ „ქართველთა ზედა“ დიდი ჭირის მოწვევაზე რომ ლაპარაკობს, ავტორი ამბობს: „ამას ყოველსა ქართლის ცხოვრებისა წიგნი ვრცელად მოგვთხრობსო“ შემდეგ ანდერძში, როდესაც გვიამბობს იმის შესახებ, თუ რატომ შეუდგა ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციის შექმნაზე მუშაობას, იგი წერს: „ესე ნეტარისა ნინოს ცხოვრებაჲ შეუწყობელად და გახზნულად ქართლისა მოქცევისა თანა და ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თუთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისგან, იაკობ მღვდელისაგან, სხუაჲ აბიათარისგან, სხუაჲ კჳალად სიდონიასგან, გარნა წინ უკჳანა და უკჳანა წარ, იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უჭმარ და და ვერ საცნაურ...“ და სხვ.

„ჰანბავი მეფეთაჲ“ იგივე „ქართლის ცხოვრებაჲ“ უფრო ზუსტად მისი ის ნაწილი, რომელიც ლეონტი მროველის მიერაა დაწერილი. მეტაფრასული რედაქციის ავტორი იცნობს „ქართლის ცხოვრებას“, მაგრამ ერთია წიგნის ცოდნა და მოხსენიება და მეორე — მისი წყაროდ გამოყენება.

მეტაფრასის ავტორი მროველისეულ „ნინოს ცხოვრებას“ წყაროდ რომ არ გამოიყენებდა, ჩვენი აზრით, ეს თვითონ ანდერძიდანაც ჩანს. „მოქცევისა“ და მროველისეულ „ნინოს ცხოვრების“ ტექსტებს იგი ამ ანდერძში ერთნაირად ახასიათებს, ე. ი. იცის, რომ მროველისეული ტექსტი „მოქცევიდან“ მოდის, და ძირითადად მისი გამეორებაა. მეტაფრასტი ამავე დროს ახასიათებს ამ ნაწარმოებებს, როგორც „შეუწყობელად“, „განზნულად“ და „აღრეულად“ ნაწერთ, სადაც სხვადასხვა ავტორები წინა ამბებს მომდევნოდ მოგვითხრობენ, მომდევნოებს კი წინ. ამიტომ, ბუნებრივი გვეგონია, რომ ორი ასეთი წიგნიდან მას უნდა გამოეყენებინა ერთი და, რა თქმა უნდა, პირველი წყარო.

ამგვარად, მეტაფრასული ნინოს ცხოვრება“ თავის ძირითად წყაროდ იყენებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტს და წარმოადგენს მხოლოდ ამ უკანასკნელის გადამუშავება-გადამეტაფრასებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 12.7.1966)

ФИЛОЛОГИЯ

Ц. И. КУРЦИКИДЗЕ

## ОБ-ИСТОЧНИКЕ МЕТАФРАСТИЧЕСКОЙ РЕДАКЦИИ «ЖИТИЯ СВ. НИНЫ»

Резюме

Основными источниками метафрастической редакции «Жития св. Нины» в научной литературе принято считать шатбердско-челишскую и мровелевскую редакции «Жития св. Нины».

Сличение и сравнительный анализ названных редакций не подтверждают это мнение. Источником метафрастического текста следует признать только лишь шатбердско-челишскую редакцию.

დაბოლოებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლ. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945.
2. კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951.
3. ს. ჯანაშია. ფსევდოარსენი. სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის შობამბე, ტ. I, № 6, 1940.
4. ქ. ცხადაძე. უცნობი ავტორის „ნინოს ცხოვრება“. საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე. თბილისი, 1959.
5. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. თბილისი, 1946.
6. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი, 1963.
7. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955.
8. Е. Такайшвили. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II. Тифлис, 1906—1912.
9. სოლ. ყუბანეიშვილი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჰელიოური რედაქცია.
10. ეფრემ მცირე. უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ. თბილისი, 1959.



ბიოლოგია

მ. შილაკაძე

ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტების ძირითადი  
თავისებურებანი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ 19.7.1966)

ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტები ორ ჯგუფად იყოფა: ხე-  
მიანი და ჩამოკვრით ინსტრუმენტებად. ჩვენ შევეჩებით ჩამოკვრით ინს-  
ტრუმენტებს (ჩანგს, ფანდურს და ჩონგურს). მათი სახით წარმოდგენილია რო-  
გორც შედარებით მარტივი, ისე განვითარებული ფორმები. ამასთანავე, საქარ-  
თველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი და იგივე ინსტრუმენტის განვითარების სხვა-  
დასხვა დონე, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ქართული სიმებიანი ინსტრუ-  
მენტის განვითარების ძირითადი ეტაპები.

ჩანგს აქვს სხვადასხვა სიგრძისა და სისქის ექვსი (იშვიათად შვიდი) ძუის  
სიმი, თითოეული სიმი გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ერთ ბგერას. აქ უნდა  
შევნიშნოთ, რომ ჩანგის წყობა (ღია სიმების მიერ გამოცემულ ბგერათა ინტერ-  
ვალური შეფარდება) ბგერათ რიგს ემთხვევა, რადგანაც ამ ინსტრუმენტზე მხო-  
ლოდ ღია სიმების აღწერება ხდება. ჩანგის ბგერათრივის უმაღლეს ბგერას გა-  
შოსცემს ჩანგის უმოკლესი და უწვრილესი სიმი, უდაბლეს ბგერას — უგრძესი  
და უმსხვილესი სიმი (სიმის სისქე დამოკიდებულია ძუათა რაოდენობაზე). აქ  
ჩანს ემპირიული ცოდნა აკუსტიკის პრინციპებისა: ა) სიმის სიგრძე მის მიერ გა-  
მოცემული ბგერის სიმაღლის უკუპროპორციულია (რაც მოკლეა სიმი, მით უფ-  
რო მაღალია ბგერა და პირიქით); ბ) სიმის სისქე მის მიერ გამოცემული ბგერის  
სიმაღლის პირდაპირ პროპორციულია (რაც წვრილია სიმი, მით უფრო მაღალია  
ბგერა და პირიქით).

ჩანგს ამზადებენ წიწვოვანი მცენარეების (ფიჭვი, ნაძვი) მერქნისაგან, უპი-  
რატესობას ანიჭებენ ნაძვს. ცნობილია, რომ მუსიკალური ინსტრუმენტის და-  
სამზადებლად საუკეთესო მასალას წარმოადგენს ნაძვი. ეს საუკეთესო მასალა  
მიგნებული ჩანგის დასამზადებლად. ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა, იგი მი-  
უთითებს დიდ გამოცდილებაზე და მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური ტრადი-  
ციების არსებობაზე.

სხვადასხვა სიმაღლის ბგერის მიღება სხვადასხვა სიგრძის სიმების საშუა-  
ლებით მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრინდელ სტადიას შეესაბა-  
მება. ამ ინსტრუმენტის სიძველეზე მისი სიმების მასალაც მეტყველებს.

ყელიან-მუცილიან ჩამოკვრით ინსტრუმენტებზე (ფანდურზე და ჩონგურზე)  
სხვადასხვა სიმაღლის ბგერები მიიღება სიმზე თითის დაჭერით, ე. ი. სიმის და-  
შოკლება-დაგრძელებით.





ფანდური სამსიმიანი ინსტრუმენტი. იგი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს როგორც მთის, ისე ბარის კუთხეებში. საქართველოს ყველა კუთხის ფანდური პრინციპულად მსგავსი, მაგრამ განსხვავებული ფორმისაა, ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი: 1) მთის კუთხეების (ხევსურული) და 2) ბარის კუთხეების (ქართლი, კახეთი) ფანდურები. ხევსურული ფანდურის სახით შემოინახა ფანდურის განვითარების ადრინდელი ეტაპი.

ხევსურულ და ბარულ ფანდურთა პრინციპული მსგავსება გამოიხატება: 1) წყობის ერთგვარობაში (სეკუნდურ-ტერციული წყობა), 2) კონსტრუქციის ერთგვარობაში და 3) ფარდების (საქცევების) არსებობაში, ხევსურული და ბარული ფანდურები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მუსიკალური შესაძლებლობებით, რის გარეგნულ გამოხატულებასაც წარმოადგენს:

1. ფარდების (საქცევების) რაოდენობა; ხევსურულ ფანდურს აქვს ორი საქცევი, საერთო დაპაზონი არ აღემატება სექტას, მასზე აიღება ტონიკური (1 საფეხურის) და დომინანტური (VII საფეხურის) სამხმოვანებები; ქართლ-კახურ ფანდურს აქვს 6 ან 7 საქცევი, საერთო დაპაზონი შეადგენს ოქტავას, მასზე აიღება 1 და VII საფეხურების გარდა სხვა აკორდებიც. ამგვარად, ქართლ-კახური ფანდურის პარამონიული შესაძლებლობანი მეტია. ამას ხაზი უნდა გაესვას იმდენად, რამდენადაც ფანდურის, როგორც საერთოდ ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების, ძირითად ფუნქციას სიმღერის თანხლება, აკომპანირება წარმოადგენს, ხოლო თანხლებაში ძირითადად პარამონიული ფუნქციების ხაზგასმა იგულისხმება;

2. ინსტრუმენტის კორპუსის ფორმა; ხევსურული ფანდური ნიჩბისებურია, ქართლ-კახური — მსხლისებური. ხევსურულ ფანდურს აქვს სქელი (4—6 მმ სისქის) გულის ფიციარი (ზედა დეკა), ქართლ-კახურს — თხელი (3 მმ სისქის). ხევსურული ფანდურის კორპუსის სიღრმე (სარეზონანსო მოცულობა) ბარული ფანდურის კორპუსის სიღრმეზე ნაკლებია. ბარული ფანდური უფრო დახვეწილად და ნაზადაა ნაკეთები, ვიდრე ხევსურული, რაც, საბოლოოდ გავლენას ახდენს ინსტრუმენტის ბგერის (ელერადობის) ხარისხზე. ხევსურული ფანდურის ბგერა არის დაბალი, სუსტი, ნაკლებად გამოკვეთილი, ქართლ-კახურისა — უფრო ძლიერი და მკაფიო;

3. დაკვრის ტექნიკა; ხევსურულ ფანდურზე ბგერათწარმოების ერთადერთ ხერხს წარმოადგენს თითების (4 თითის უცეროდ) ჩამოკვრა; ქართლ-კახურ ფანდურზე კი ეს ხერხი ძირითადია და მის გარდა სხვა ხერხებიც არსებობს (ჩამოკვრა ზემოდან ქვემოთ ორი თითით, ხუთივე თითით, მარტო ცერით და ამოკვრა ქვემოდან ზემოთ).

ხევსურულ და ქართლ-კახურ ფანდურებს შორის ამ განსხვავებათა საფუძველზე ვასკვნიტ, რომ ხევსურული ფანდური თავისი მუსიკალური შესაძლებლობებით შეესაბამება სიმებიანი ინსტრუმენტის განვითარების უფრო ადრინდელ სტადიას, ქართლ-კახური კი — უფრო განვითარებულს, მაღალს სტადიას. ხევსურულ ფანდურში ასახულია მუსიკალური აზროვნების განვითარების ის ეტაპი, როდესაც ცნობილი იყო ტონიკურ-დომინანტური ფუნქციონალური თა-

ნაფარდობა, რაც, თავის მხრივ, მუსიკალური კულტურის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებელია.

როგორც აღვნიშნეთ, ფანდური სამსიმიანი ინსტრუმენტია. საქართველოს ყველა კუთხეში ფანდურს აქვს ერთაღერთი წყობა — სეკუნდურ-ტერციული ( $c_1-a-g$ ).

სამსიმიან ფანდურებს წინ უსწრებდა ორსიმიანი. ასეთი ორსიმიანი ფანდურის არსებობაზე მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი ([5], 156) ორსიმიანი ფანდური ხევსურეთში დადასტურებული აქვს პროფ. შ. ასლანიშვილს ([2], 12).

ისმება კითხვა — როგორი იყო ორსიმიანი ფანდურის წყობა, ან რომელი სიმი წარმოადგენს სამსიმიან ფანდურზე უკანასკნელად შექმნილ სიმს?

ორსიმიანი ფანდურის წყობის დასადგენად მივმართთ ორსიმიან ხევსურულ ფანდურზე შესრულებულ ჰანგს („ხევსურული საცეკვაო“), რომელიც პროფ. შ. ასლანიშვილმა ჩაიწერა ([2], 72). ამ ჰანგის ფორმია მრავალჯერ განმეორებული ფრაზა-წინადადება:



მოცემული ჰანგის ქვედა ხმა სრულდება ფანდურის II სიმზე, ზედა ხმა — I სიმზე. ქვედა ხმის დიაპაზონია es-f; ე. ი. ღია სიმი (II) იძლევა ბგერა es-ს, I კი მიიღება II სიმზე მარცხენა ხელის (ცერის) დაჭერით. ზედა ხმის დიაპაზონია as-b; ე. ი. ღია სიმი (I) იძლევა as-ს, b კი მიიღება I სიმზე მარცხენა ხელის საჩვეხებელი თითის დაჭერით. მაშასადამე, ღია II სიმის ძიერ გამოცემული ბგერა ყოფილა es, ღია I სიმის მიერ გამოცემული ბგერა — as. ე. ი. ინსტრუმენტის წყობა, რომელზედაც ზემოთ მოყვანილი ჰანგი სრულდებოდა, ყოფილა წმინდა კვარტა (es-as).

ასეთი წყობა უნდა ჰქონოდა სამსიმიან ფანდურამდე არსებულ ორსიმიან ფანდურს. საფუძველს ამის სამტყიცებლად გვაძლევს:

1) ზემომოყვანილი ჰანგის ანალიზის საშუალებით დადგენილი ორსიმიანი ფანდურის კვარტული წყობა; ხევსურული და ბარული ფანდურების წყობის ერთგვარობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორსიმიან ხევსურულ ფანდურს ისეთივე წყობა ჰქონდა, როგორიც ბარში არსებულ ორსიმიან ფანდურს, რომელიც სამსიმიანს უსწრებდა წინ;

2) ახლოგოიური წყობის არსებობა კავკასიის სხვა ხალხების ორსიმიან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (შდრ. აფხაზურ აფხარცა ([9], 337) და სხვ. ([7], 107, 108);

3) სამსიმიანი ფანდურის თანამედროვე სეკუნდურ-ტერციული წყობა შეიძლებოდა წარმოშობილიყო კვარტის დიაპაზონში [8].

ამგვარად, თუ თანამედროვე სეკუნდურ-ტერციული წყობა შეიძლებოდა წარმოშობილიყო კვარტის დიაპაზონში, ხოლო კვარტულ ინტერვალურ შეფარდებაში თანამედროვე სამსიმიანი ფანდურის განაპირა ღია სიმების მიერ გამო-

ცემული ბგერები იმყოფებიან, უკანასკნელად დართულ სიმაღ ფანდურის მეორე, ე. ი. შუა სიმი გამოიყურება. ამ სიმის მიერ გამოცემული ბგერის საშუალებით იქმნება სეკუნდურ-ტერციული თანაფარდობა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საკრავიერ მუსიკაში პირველად ბანი, ბოხი ხმის გამომღები ძალი უნდა გაჩენილიყო. შემდეგ „უკვე წინათ მხოლოდ მღერით წარმოთქმული ჰანგის დასაფარავად განკუთვნილი ძალი... რომელი ძალი იყო ბანის შემდგომ ეს გაჩენილი ძალი მსხირპანე თუ ყირი (პირველი თუ მეორე. მ. შ.), ამის გამორკვევა გადავიღებულნი ვგვეჩნებოდა, ორძალიანი ფანდურები რომ თავის დროზე ამ თვალასზრისით ვისმე შეესწავლა...“ ([5], 336).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ბანის შემდგომ გაჩენილი ძალი“ უნდა ყოფილიყო უწყრილესი ხმის გამომცემი, ე. ი. პირველი სიმი, ხოლო შუა სიმი ყველაზე გვიანდელ დანართს წარმოადგენს.

თავისი მუსიკალური შესაძლებლობებით ქართული ყელიან-მუცლიანი სიმებიანი ინსტრუმენტის ყველაზე განვითარებულ ფორმას წარმოადგენს ჩონგური, ოთხსიმიანი ინსტრუმენტი (გვხვდება სამსიმიანიც ([6], 7, 83); IV, მოკლე სიმი ზილი დაერთო არა უგვიანეს XVI საუკუნისა ([5], 320—321); აქედან დიფყო ამ ინსტრუმენტის განვითარების ახალი ეტაპი). ამის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს:

1) კორპუსის ფორმა; ჩონგურს აქვს დიდი კორპუსი, ე. ი. დიდი სარეზონანსო მოცულობა; კორპუსის კედლის სისქე და ზედა დეკის სისქე 1,5—2 მმ-ია. სიმებად აბრეშუმის ძაფი გამოიყენება. ეს განაპირობებს ჩონგურის ბგერის (ყლერადობის) ხარისხს; ჩონგურს აქვს მკაფიო, ნათელი, ნაზი ტემბრი;

2) დაკვრის ტექნიკა; ყველაზე განვითარებულ ფანდურზე ბერათწარმოების ხერხია სიმების ჩამოკვრა და ამოკვრა; ჩონგურზე კი ამათ გარდა გვაქვს ერთი სიმის მოზიდვა, ორი ან სამი სიმის მოზიდვა. ჩონგურზე მიიღწევა სტაკატოსა და პიციკატოს ეფექტები;

3) ჩონგურის პარმონიული შესაძლებლობანი ფანდურთან შედარებით დიდია, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სიმების მეტი რაოდენობა ჩონგურზე და, მეორე მხრივ, ჩონგურის წყობათა სიმრავლე. ეს უკანასკნელი პარმონიული შესაძლებლობების გადიდებისაკენ მისწრაფებამ განაპირობა. ერთი წყობის შიგნითაც ჩონგურს ოქტავის დიაპაზონი აქვს და მასზე აიღება ორხმიანი, სამხმიანი და ოთხხმიანი აკორდები.

ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტების სიმებისა და სიმღერის ხმების სახელწოდებანი ერთი და იგივეა, მაგრამ, სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი. სიმღერის ხმის სახელწოდებაში მისი ფუხქცია იგულისხმება, ხოლო სიმის სახელწოდებაში არა.

ფანდურის სიმების სახელწოდებანი არ შემონახულა. სიმღერის ხმების სახელწოდებები აქვს ჩონგურის და სვანური ჭუნირის სიმებს. ჩონგურის I სიმს მოქმელი ან დამწყები ეწოდება, II-ს—მოძახილი, III-ს—ბანი, IV-ს—ზილი ([5], 173—174; [4] 35). ჭუნირის I სიმს ეწოდება კივან (მაღალი ხმა), II-ს—მაჟოლ (დამწყები) და III-ს ბან (ბანი).

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჩონგურის სიმების სახელები ხმების სახე-  
ლებია, „რადგან არც ერთი ალყისათვის მიქმელი და მოძახილი სახელებად შე-  
საფერისი არ არის, ვალობა-სიმღერაში კი სრულებით ბუნებრივიც არის და პირ-  
ველი ორი ხმის დანიშნულების მარჯვე გამოხატველი.“ ([5], 311).

რა შესაბამისობაში არიან ინსტრუმენტის სიმებისა და სიმღერის ხმების სა-  
ხელწოდებანი?

სიმების სახელები მათ რეგისტრულ მდებარეობას აღნიშნავენ. სიმის სა-  
ხელწოდება მიუთითებს, რომ ეს სიმი რეგისტრულად იქ მდებარეობს, სადაც  
ამავე სახელწოდების სიმღერის ხმა. ჩონგურის III სიმის ან ჭუნირის III სიმის  
სახელწოდებაა „ბანი“. ეს სიმი იმ ფუნქციას კი არ გამოხატავს, რასაც ხმა „ბა-  
ნი“ ასრულებს სიმღერაში, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული სიმი რე-  
გისტრულად მდებარეობს იქ, სადაც სიმღერაში ხმა „ბანი“, ე. ი. ყველაზე  
დაბლა.

ქართული ტრადიციული ინსტრუმენტული ანსამბლი ორი  
ინსტრუმენტისაგან შედგება. ერთ-ერთი მათგანია სიმებიანი ან ჩასაბერი და  
მეორე — დასარტყმელი ინსტრუმენტი. ასეთი ანსამბლი განსაკუთრებით ხში-  
რია საცეკვაო პანგების შესრულებისას, სადაც დასარტყმელი ინსტრუმენტი რი-  
ტმული სურათის ხაზგასმისათვისაა გამოყენებული.

ინსტრუმენტულ ანსამბლზე შეიძლება გაერთიანდეს აგრეთვე ორი სიმები-  
ანი ინსტრუმენტი, მაგ., ჩანგი და ჭუნირი. მაგრამ ორი ან მეტი ერთი და იგი-  
ვე სიმებიანი ინსტრუმენტის (ორი ან მეტი ჩონგურის, ორი ან მეტი ფანდურის  
და ა. შ.) გაერთიანება ქართული ანსამბლისათვის არაა დამახასიათებელი. ასეთი  
ანსამბლი საქართველოს არც ერთი კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ  
დასტურდება.

ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები თავიანთი განვითარების  
დონით, მუსიკალურ-გამომსახველობით შესაძლებლობებით ვერ დგანან იმ სი-  
მაღლეზე, რომელსაც ქართულმა საგუნდო სიმღერამ მიაღწია. მაგრამ მუსიკა-  
ლური აზროვნების მაღალი დონე ქართულ ინსტრუმენტებშიც აისახა. აქ მხე-  
დველობაში გვაქვს აკუსტიკის კანონების ემპირიული ცოდნა, გამოცდილება  
ინსტრუმენტისათვის ხის მასალის შერჩევაში, რაც მრავალსაუკუნოვანი ტრადი-  
ციების არსებობაზე მიუთითებს და მაღალი მუსიკალური კულტურის გამოხა-  
ტველია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,  
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 19.7.1966)

М. И. ШИЛАКАДЗЕ

## ОСНОВНЫЕ ОСОБЕННОСТИ ГРУЗИНСКИХ НАРОДНЫХ СТРУННЫХ ИНСТРУМЕНТОВ

Резюме

Основной особенностью щипкового инструмента чанги является извлечение разных по высоте звуков струнами разной длины и толщины. В этом факте видно эмпирическое знание принципов акустики: высота звука, извлекаемого струной, обратно пропорциональна ее длине и прямо пропорциональна ее толщине.

В виде хевсурского пандури сохранилась более простая форма, соответствующая тому этапу развития музыкального мышления, когда уже известно тонико-доминантовое функциональное соотношение, что, со своей стороны, указывает на высокий уровень музыкальной культуры.

Современному трехструнному пандури предшествовал двухструнный, строй которого, по нашему мнению, был квартный. Появившаяся позднее всех струной на пандури является средняя.

Самая развитая форма грузинского струнного щипкового инструмента представлена четырехструнным чонгури.

Названия струн струнных инструментов выражают регистровое расположение струн, в отличие от названий голосов, выражающих их функцию.

В народном быту не свидетельствуется объединение в ансамбль двух или более одинаковых инструментов (двух пандури, двух чонгури и т. д.).

Эмпирическое знание принципов акустики является выражением многовековых музыкальных традиций.

### დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. დ. არაყიშვილი. სვანური ხალხური სიმღერები. თბილისი, 1950.
2. შ. ასლანიშვილი. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II. თბილისი, 1956.
3. ვ. ახოზაძე. ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული. თბილისი, 1957.
4. ვ. ახოზაძე. ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები. ბათუმი, 1961.
5. ი. ვ. ჭავჭავაძე. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1938.
6. Д. И. Аракишвили (Аракичев). Народная песня Западной Грузии (Имеретин). Оттиски из II т. трудов Музыкально-этнографической Комиссии, М., 1908.
7. Атлас музыкальных инструментов народов СССР. М., 1963.
8. Р. И. Грубер. История музыкальной культуры, т. I, ч. I, М.—Л., 1941.
9. И. М. Хашба. Абхазский народный музыкальный инструмент апхьарца. Труды Абхазского института языка, литературы и истории АН ГССР, XXXIII—XXXIV. Сухуми, 1963.

მთ. რედ აქტორი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი რ. დვალი

Гл. редактор—академик Академии наук Грузинской ССР  
Р. Р. Двали

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.3.1967; შეკვ. № 239; ანაწყობის ზომა 7×11;  
ქაღალდის ზომა 70×108; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 20,0;  
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 24,0; უე 01249; ტირაჟი 1350

Подписано к печати 29.3.1967; зак. № 239; размер набора 7×11; размер  
бумаги 70×108; количество уч.-изд. листов 20,0; количество печатных  
листов 24,0; УЭ 01249; тираж 1350

---

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15.  
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.



შიხასარსი — СОДЕРЖАНИЕ — CONTENTS

მათემატიკა — МАТЕМАТИКА — MATHEMATICS

Г. Н. Тевзадзе. Об условиях интегрируемости основных уравнений поверхностей проективного пространства . . . . . 3\*

\*გ. თევზაძე. პროექციული სივრცის ზედაპირთა ძირითადი განტოლებების ინტეგრების პირობების შესახებ . . . . . 9

Х. Н. Инасаридзе. Расширения коммутативных инверсных полугрупп . . . . . 11

\*ხ. ინასარიძე. კომუტატურ ინვერსულ ნახევარჯგუფთა გაფართოებანი . . . . . 18

В. В. Николайшвили. О компонентах пространства вполне непрерывных векторных полей . . . . . 19

\*ვ. ნიკოლაიშვილი. სრულად უწყვეტი ვექტორული ველების სივრცის კომპონენტების შესახებ . . . . . 26

Р. В. Гамкрелидзе, Г. Л. Харатишвили. Теория первой вариации в экспериментальных задачах . . . . . 27

\*რ. გამყრელიძე, გ. ხარატიშვილი. პირველი ვარიაციის თეორია ექსტრემალურ ამოცანებში . . . . . 31

Р. Ш. Гонгадзе. О представлении чисел формами . . . . . 33

\*რ. ლონდაძე. რიცხვთა წარმოდგენის შესახებ . . . . . 39

კიბერნეტიკა — КИБЕРНЕТИКА — CYBERNETICS

Г. Б. Букня. К вопросу мультипрограммной организации работы вычислительной системы . . . . . 41

\*გ. ბუკია. გამომთვლელი სისტემის მუშაობის მულტიპროგრამული ორგანიზაციის საკითხისათვის . . . . . 47

Г. А. Мачавариани. Стабилизация сигнала датчика в системе автоматического вождения трактора . . . . . 49

\*გ. მაკავარიანი. გადამწოდის სიგნალის სტაბილიზაცია ტრაქტორის ავტომატური მართვის სისტემაში . . . . . 52

ფიზიკა — ФИЗИКА — PHYSICS

Т. С. Мачарадзе. О дифференциальных характеристиках реакции . . . . . 53

\*თ. მაკარაძე. ...რეაქციის დიფერენციალური მახასიათებლების შესახებ . . . . . 60

В. С. Гургенидзе. О соотношениях между амплитудами фоторождения и пион-нуклонного рассеяния . . . . . 61

\*ბ. გურგენიძე. ფოტოგაჩენისა და პიონ-ნუკლონური ვაზნევის ამპლიტუდათა კავშირის შესახებ . . . . . 65

გეოფიზიკა — ГЕОФИЗИКА — GEOPHYSICS

Т. Л. Челидзе. О частотной дисперсии электрических свойств во влажных горных породах . . . . . 67

\*თ. ქელიძე. ტენიანი ქანების ელექტრული თვისებების სისშირული დისპერსიის შესწავლის საკითხისათვის . . . . . 73

ქიმია — ХИМИЯ — CHEMISTRY

Е. М. Бенашвили, Х. И. Арешидзе (член-корреспондент АН ГССР), Т. Т. Курашвили, А. В. Долидзе. Превращения циклогексена на кристаллических алюмосиликатах различной структуры . . . . . 75

\* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.

\* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

\* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.



\*ე. ბენაშვილი, ქრ. არეშიძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), თ. ყურაშვილი, ა. დოლიძე. ციკლოპექსენის გარდაქმნა სტრუქტურის კრისტალურ ალუმოსილიკატებზე . . . . . 80

К. А. Андрианов (академик), А. И. Ногайдели, Р. Ш. Ткешелашвили, Л. И. Накаидзе. О реакции конденсации α, ω-дигидроксиметилфенилсилоксана с олигомерами силдигидронафтиленсилоксанового ряда . . . . . 83

\*ე. ინდრიანოვი (აკადემიკოსი), ა. ნოლაიდელი, რ. ტყეშელაშვილი, ლ. ნაკაიძე, ა. ω-დიჰიდროქსიმეთილ-ფენილ-სილოქსანის სილიკატ-ნაფტოლენ-სილოქსანური რივის ოლიგომერებთან კონდენსაციის რეაქციის შესახებ . . . . . 89

ქიმიური ტექნოლოგია—ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ—  
CHEMICAL TECHNOLOGY

А. В. Саруханишвили, Е. М. Милюков. Влияние малых добавок  $Cr_2O_3$  на кристаллизацию многокомпонентного стекла . . . . . 91

\*ა. სარუხანიშვილი, ე. მილიუკოვი.  $Cr_2O_3$  მცირე დანამატების გავლენა მრავალკომპონენტური მინის კრისტალიზაციაზე . . . . . 95

ელექტროქიმია—ЭЛЕКТРОХИМИЯ—ELECTROCHEMISTRY

Н. И. Лагидзе, Л. Н. Джапаридзе, Дж. И. Джапаридзе. Полярографическое исследование поведения некоторых ионообменных смол в электролите источника тока марганцево-цинковой системы . . . . . 97

\*ნ. ლაღიძე, ლ. ჯაფარიძე, ჯ. ჯაფარიძე. თუთია-მანგანუმის სისტემის ელემენტის ელექტროლიტზე ზოგიერთი იონგაცვლითი ფისის მოქმედების შესწავლა პოლაროგრაფიული მეთოდით . . . . . 104

ბიოქიმია—БИОХИМИЯ—BIOCHEMISTRY

Н. В. Джибладзе. К цитохимическим и цитогенетическим особенностям лейкоцитарной клетки . . . . . 105

\*ნ. ჯიბლაძე. ლეიკოზური უჯრედის ციტოქიმიური და ციტოგენეტიკური თავისებურებანი . . . . . 109

მ. პოკუჩავა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ს. გიორგაძე, ე. პოპოვი. თავისუფალ ამინომჟავათა ცვალებადობის გამოკვლევა ჩაის წარმოების პროცესში . . . . . 111

\*М. А. Бокучава (член-корреспондент АН ГССР), С. Г. Георгадзе, В. Р. Попов. Исследование изменений свободных аминокислот в процессе производства чая . . . . . 114

А. Г. Шалашвили. Флавоноиды рододендрона кавказского... . . . . 115

\*ა. შალაშვილი. დეკას... ფოთლების ფლავონოიდური ნაერთები . . . . . 120

გეოგრაფია—ГЕОГРАФИЯ—GEOGRAPHY

Л. И. Маруашвили. Уникальная многоэтажная карстовая пещера Цуцхати в Западной Грузии . . . . . 123

\*ლ. მარუაშვილი. უნიკალური მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ცუცხათში (დას. საქართველო) . . . . . 129

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

М. Д. Узнაдзе. Некоторые данные об эоценовой флоре окрестностей г. Ахалцихе (Грузинская ССР) . . . . . 131

\*მ. უზნაძე. ზოგიერთი მონაცემები ახალციხის მიდამოების ეოცენური ფლორის შესახებ . . . . . 134

მინერალოგია—МИНЕРАЛОГИЯ—MINERALOGY

М. Д. Купарадзе, И. И. Хмаладзе. Некоторые новые данные о гидротермалитах Аджарского рудного района . . . . . 135





\*მ. ყუფარაძე, ირ. ხშალაძე. ზოგიერთი ახალი მონაცემები აჭარის მდინაი რაიონის ჰიდროთერმალიტების შესახებ . . . . . 142

**პალეობიოლოგია—ПАЛЕОБИОЛОГИЯ—PALAEOBIOLOGIA**

Н. П. Джанелидзе. Новый вид рода *Paradasna* из плиоцена Эвксинского бассейна . . . . . 143

\*ნ. ჩანელიძე. გვარ *Paradasna*-ს ახალი სახეობა ევქსინური აუზის პლიოცენიდან . . . 147

**მეტალურგია—МЕТАЛЛУРГИЯ—METALLURGY**

И. Ш. Цинцадзе, Ф. Н. Тавадзе (академик АН ГССР). Влияние ультразвука на фазовые превращения в сталях . . . . . 149

\*ი. ცინცაძე, ფ. თავაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი). ულტრაბგერის გავლენა ფაზურ გარდაქმნებზე ფოლადებში . . . . . 154

Л. Ф. Тавадзе. Влияние кремния, молибдена и меди на структуру, твердость и коррозионную стойкость стали ОХ18Н20 . . . . . 155

\*ლ. თავაძე. სილიციუმის, მოლიბდენისა და სპილენძის გავლენა ფოლად ОХ18Н20-ის სტრუქტურაზე, სისაღებ და კოროზიულ მდგრადობაზე . . . . . 160

**ჰიდრაულიკა—ГИДРАВЛИКА—HYDRAULICS**

Е. И. Масс. К вопросу определения допускаемых (неразмывающих) скоростей и предельной глубины размыва в волновом потоке . . . . . 161

\*ე. მასი. ტალღურ ნაკადებში დასაშვები სიჩქარეებისა და ზღვრული გარეცხვის სიღრმის განსაზღვრის საკითხისათვის . . . . . 166

**მანქანათმშენებლობა—МАШИНОВЕДЕНИЕ—MECHANICAL ENGINEERING**

Л. Л. Гвелесиани. Оптимальный режим торможения экипажа с рекуперативным тормозом . . . . . 169

\*ლ. გველესიანი. მუხრუჭ-რეკუპერატორით აღჭურვილი გეიპაეის დამუხრუჭების ოპტიმალური რეჟიმი . . . . . 173

**ავტომატიკა და ტელემექანიკა—АВТОМАТИКА И ТЕЛЕМЕХАНИКА—AUTOMATICS AND TELEMCHANICS**

Н. Г. Туркия, Н. А. Вепхвадзе, Д. И. Чулая, Л. Д. Чхаидзе. Расчет на ЦВМ токов и напряжений при несимметричных повреждениях в сети энергосистемы . . . . . 175

\*ნ. თურქია, ნ. ვეფხვაძე, დ. წულაია, ლ. ჩხაიძე. დენებისა და ძაბვების ანგარიში ციფრულ გამომთვლელ მანქანაზე ენერგოსისტემის ქსელში არასიმეტრიული დაზიანების დროს . . . . . 179

**ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY**

ბ. გიორგაძე. მოძრავი ნაშალების მცენარეულობა თბილისის მიდამოებში . . . . . 181

\*ბ. გ. გიორგაძე. Растительность движущихся осыпей в окрестностях Тбилиси . . . . . 187

**მეცენარეობა—РАСТЕНИЕВОДСТВО—PLANT-GROWING**

ლ. გიორგაძე. სასილოსე სიმინდის ჯიშთაშორისო ჰიბრიდი „დიდმურა 3“ . . . . . 189

\*ლ. ს. გიორგაძე. Межсортowej гибриды силосной кукурузы Дигмура-3 . . . . . 193

**მცენარეთა ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ РАСТЕНИЙ—PHYSIOLOGY OF PLANTS**

Б. М. Кавтელაძე, Н. М. Датукишвили. Содержание Sr-90 в листьях и плодах некоторых плодовых культур . . . . . 195

\*ბ. კავთელაძე, ნ. დათუკიშვილი. Sr-90-ის შემცველობა სხვადასხვა ხეხილის ფოთლებსა და ნაყოფებში . . . . . 196



ფიტოპათოლოგია—ФИТОПАТОЛОГИЯ—PHYTOPATHOLOGY

ა. ძ ა გ ა ნ ი ა. მასალები ზეთისხილის ჩოფურჩიანობის გამომწვევის განვითარების თავისებურებათა შესწავლისათვის საქართველოში . . . . . 199

\*А. М. Дзаганиа. Материалы к изучению особенностей развития возбудителя „оспы“ маслины в Грузии . . . . . 204

ენტომოლოგია—ЭНТОМОЛОГИЯ—ENTOMOLOGY

ც. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. მასალები მარწყვის მავნე ფაუნის შესწავლისათვის საქართველოში . . . . . 207

\*Ц. И. Чубинишвили. Материалы по изучению вредной фауны земляники в Грузии . . . . . 213

ი. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. მასალები მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული ფუტკრისნაირთა (Apidae) ფაუნის შესწავლისათვის . . . . . 215

\*И. А. Схиртладзе. Материалы к изучению фауны пчелиных (Apidae), распространённых в Месхет-Джавахетии . . . . . 222

ანატომია—АНАТОМИЯ—ANATOMY

ბ. შ ი უ კ ა შ ვ ი ლ ი. ელასტიური ბოჭკოები სარძევე ჭირკვლის კიბოსწინარე დაავადებებსა და კიბოში . . . . . 223

\*Н. Н. Шукашвили. Эластические волокна в предраковых разрастаниях и раке молочной железы . . . . . 225

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

Т. ლ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. Изменение электрической активности в лимбических структурах кошки при эмоциональных реакциях . . . . . 227

\*თ. ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ელექტრული აქტივობის ცვლილება კატის ლიმბიკურ სტრუქტურებში ემოციური რეაქციების დროს . . . . . 233

მასპერიმენტული მედიცინა—ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА—

EXPERIMENTAL MEDICINE

ც. შ. დ ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე. Об изменениях некоторых корково-подкорковых взаимоотношений при искусственной гипотонии . . . . . 235

\*ც. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე. ქერქისა და ზოგიერთი ქერქქვეშა წარმონაქმნის ურთიერთობის შესახებ ხელოვნური ჰიპოთერმიის დროს . . . . . 241

А. В. Чачава. Двигательная функция желчного пузыря при лучевой болезни . . . . . 243

\*ა. ჩ ა ჩ ა ვ ა. ნალელის ბუშტის მამოძრავებელი ფუნქცია სხივური დაავადების დროს . . . . . 247

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—

CLINICAL MEDICINE

К. И. Канделаки. Эндогенные стимуляторы кроветворения (гемопоэтины) у почечных больных . . . . . 249

\*ქ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი. ჰემოპოეზის ენდოგენური სტიმულატორები (ჰემოპოეტინები) თირკმლით დაავადებულებში . . . . . 252

ს. ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი. მარცხენა ვენური ხერულის სტენოზის ქირურგიული მკურნალობა ორსულობის დროს . . . . . 255

\*С. В. Палаваидишвили. Хирургическое лечение стеноза левого венозного устья во время беременности . . . . . 258

С. П. Кипиани, Т. Г. Мгеладзе, Э. М. Какауридзе, М. Н. Церетели. К клинико-рентгенологической характеристике баритоza . . . . . 261

\*ს. ყ ი ფ ი ა ნ ი, თ. მ გ ე ლ ა ძ ე, ე. კ ა კ ა უ რ ი ძ ე, მ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ბარიტოზის კლინიკურ-რენტგენოლოგიური დახასიათებისათვის . . . . . 266

ფილოლოგია—ФИЛОЛОГИЯ—PHILOLOGY

ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე. „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის წყაროს საკითხისათვის . . . . . 269

\*Ц. И. Курцикидзе. Об источнике метафрастической редакции „Жития св. Нины“ . . . . . 274

ეთნოგრაფია—ЭТНОГРАФИЯ—ETHNOGRAPHY

მ. შ ი ლ ა კ ა ძ ე. ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტების ძირითადი თავისებურებანი . . . . . 277

\*М. И. Шилакадзе. Основные особенности грузинских народных струнных инструментов . . . . . 282

УТВЕРЖДЕНО  
Президиумом Академии наук  
Грузинской ССР  
28.3.1963

## ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях Академии наук Грузинской ССР» публикуются статьи научных работников Академии наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора, — полный текст, а на другом языке — краткое изложение основного текста.

5. Объем статьи, включая иллюстрации, не должен превышать 20 000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках «Сообщений» не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию «Сообщений» для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части на иллюстрациях должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и добавления после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными: необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автор получает бесплатно 10 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, ул. КУТУЗОВА, 15

Телефон 7-18-05, доб. 3-42

Условия подписки: на 1 год — 12 руб., на 6 месяцев — 6 руб

და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდიუმის მიერ 28.3.1963

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გამოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეჯია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბე“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდური თაბანი. ყოველი კვარტალის ნაკვეთები (სამი ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. „მოამბეში“ დასაბეჭდად წერილები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სურვილისამებრ, —სრული ძირითადი ტექსტი, ხოლო მეორეზე —ძირითადი ტექსტის შემოკლებული გამოცემა.

5. წერილის მოცულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტამბო ნიშანს (ჯერნალის 8 გვერდს); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზღვრულად, რათა მან, დადებითად შეფასების შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბეჭდად.

7. წერილები (აგრეთვე სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალად, დასაბეჭდად საცხები მომზადებული. ფორმულები ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობრივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღარ შეიძლება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შეძლებისდა, გვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ჟურნალისა, რომელშიც დაბეჭდილია წერილი, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წელის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერილს ერთვის ბოლოში. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იქნეს შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი.

წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.

11. ავტორს ეძლევა გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოდგენილი, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

რ ე დ ა მ ტ კ ი ც ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, კუბუჯოვის ქ. 15

ტელეფონი 7-18-05, დამ. 3-42

ბ ე ლ მ ო წ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი: 1 წლით—12 მან., 6 თვით—6 მან.